ელგუჯა ადეიშვილი



# აკაციის ყვავილობა

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველო“

# ელგუჯა ადეიშვილი

# აკაციის ყვავილობა

„ეს უცნაური ცხოვრება“ პირველი

* * *

ქართული სიწმინდეები

* * *

ჩემი ლამაზი სოფელი

* * *

მიძღვნა პირველი

* * *

ჩემი უბანი და უბნელები

* * *

პ ა ნ დ ე მ ი ა

* * *

მიძღვნა მეორე „საახლობლო“

* * *

„ეს უცნაური ცხოვრება“ მეორე

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2020

რედაქტორი - ნონა გიორგაძე

საქართველოს მწერალთა კავშირის
წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

© ელგუჯა ადეიშვილი, 2020
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN

ვუძღვნი ჩემს ოჯახს და დედმა-მიშვილებს, ნიშნად უდიდესი სიყ-ვარულისა და მადლიერებისა.

პირველი ლექსი ჩემს მიერ შეიქმნა 42 წლის წინ (1978 წელს), რომლის საფუძველი გახდა ჩემი მეუღლის, თინათინ გეგეშიძის გაცნობა.

# გულახდილობა

თავს არ ვდებ პოეტობაზე,
არ ვამბობ, რომ მე „ლომი" ვარ,
სახლში არ ვამხელ, რას ვჯღაბნი,
გარეშეს რაღაც ვგონივარ.

როს გაეცნობით ნაწვალევს,
მსურს, პირში მითხრათ სათქმელი,
არ მოგერიდოთ დაძრახვის,
იქნებ ჩავაქრო სანთელი.

## წინასიტყვაობის მაგიერ

### ჩემი საყვარელი დედა

... დ ე დ ა მ გამზარდა ლექსთა კორომში,
ქალი ოცნება გამყვა ბოლოში,
დედისგან ამყვა მცირე გენია,
ღმერთმა აცხოვნოს „დედა -ჩემია",
დღესაც ბევრს ახსოვს მის მიერ თქმული,
ლექსები სულით ამოქარგული.
გავჩნდი ამქვეყნად ცოდვილი,
დიდხანს დამჭირდა ლოდინი,
ცხოვრება განვლე დიდი წვალებით,
ღმერთის იმედად- გულმოწყალებით.
მე არ ვიცნობდი ყველას,
და მეც ვერ მცნობდა ბევრი,
ტვირთად ვატარე მთელი სიცოცხლე -
ჩემი კუთვნილი კ ე ვ რ ი.
...მისგან მესმოდა მთელი ცხოვრება,
რომ ამოიცნო - ვინ სად ფერხდება,
აზრს კარგავს ხშირად სიმართლის ახსნა,
იქნებ ირჩიო ...შენს გზაზე წასვლა.
შიშით ვეხები ფურცელს და კალამს,
რომ არ დავუშვა შეცდომა დიდი,
ფიქრებთან ბრძოლას თავს ვეღარ ვაღწევ,
გზა ავირჩიო წყნარი და მშვიდი.
მკითხველს გავაცნობ ჩემს გულის წადილს,
ნაგროვს დიდი ხნის, წრფელად გამოთქმულს,
განსჯას მოველი თვითეულისგან,
თავს შევაფარებ წისქვილს გამორთულს.
... დ ე დ ა მ გამზარდა ლექსთა კორომში,
ქალი ოცნება გამყვა ბოლოში,
დედისგან ამყვა მცირე გენია,
ღმერთმა აცხოვნოს „დედა -ჩემია".

## ელგუჯა ადეიშვილი



დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1996 წელს დაასრულა უნივერსიტეტი „აჭარა"-ს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1986-1989 წლებში ირიცხებოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის კათედრის მაძიებლად. 2000-2006 წლებში გაიარა: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამით განხორციელებული საგადასახადო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო ტრენინგები; აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ეგიდით ორგანიზებული და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები. 2010-2011 წლებში წარჩინებით დაასრულა თავისუფალი უნივერსიტეტის - პროფესიული განვითარების პროგრამა (CBA (Certified Business Administrator)).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1971 წელს. მუშაობდა სპეციალობით და სხვადასხვა თანამდებობებზე - საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო სამსახურში, კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, კონტროლის პალატაში, საბაჟო დეპარტამენტში, ამჟამად მუშაობს ს.ს."საქართველოს რკინიგზა"-ს კონტროლის, მონიტორინგის და ინსპექტირების დეპარტამენტში.

მინიჭებული აქვს საგადასახადო სისტემის ოპერატიული სამსახურის კაპიტნის წოდება.

გახლავთ ქტიტორი მშობლიურ სოფელ ყუმურში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობისა.

2010 წლის ივნისის თვეში, ვანის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით, საჩუქრად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისაგან - „საგალობლები"-ს ალბომი, ხოლო შემდგომში საქართველოს საპატრიარქოს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მეუფე ანტონისაგან - „სამკერდე ნიშანი".

2010 წლის 25 ნოემბერს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, ელგუჯა ადეიშვილს გადაეცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის "დალოცვის სიგელი".

ვანის რაიონის გამგეობისა და ეპარქიის მღვდელმთავრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, 2016 წელს იგი არჩეული იქნა ვანის საპატიო მოქალაქედ და გადაეცა საპატიო სიგელი.

ელგუჯა ადეიშვილი არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა - საქართველოს" აკადემიკოსი, გაზეთ „ქალდეა"-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „ქალდეა"-ს სხვადასხვა ნომრებში. მას ერგო წილად იყოს პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები"-ს ოცდაათტომეულის, 25-ე ტომის გამომცემლობის რედაქტორი (გამომცემლობა „უნივერსალი" 2019წ.).

ელგუჯა ადეიშვილს გამოცემული აქვს წიგნები - „ქართული სიწმინდეები" (გამომცემლობა „უნივერსალი" 2019წ.), „ჭალასამზიარი" (გამომცემლობა „უნივერსალი" 2020წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი. მომზადებული აქვს გამოსაცემად - „ილია და... რკინიგზა კახეთში", „ჯვარიქედიდან დანახული".

მის შესახებ გამოქვეყნებულია მასალები სხვადასხვა წიგნებში და გამოცემებში:

- „ვანი ოქრომრავალი ქვეყანა“ (ოთხტომეული) (მწერალი საზოგადო მოღვაწე ბადრი სვანაძე, გამომცემლობა ქუთაისი 2012 - 2015წწ.).

- ტომი N3 „ქტიტორი“ (ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის წმინ-და გიორგის სახ. ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით).

- ტომი N4 მისი მშობლების შესახებ მოგონებები და სარწმუნოებრივ თემაზე ნაშრომი.

– „აღსარება“ (შემოქმედებითი თემა - აკადემიკოსი ანზორ ჯაფარიძე. გამომცემლობა „ივერიონი“ 2015წ.).

- „არ დავიწყება მოყვრისა (შემოქმედებითი და ბიოგ-რაფიული ხასიათის ნაწარმოები - თეიმურაზ ადეიშვილი, იური ადეიშვილი, გამოცემული 2019 წელს).

- ვანის მუნიციპალიტეტის პერიოდული დამოუკიდებელი გაზეთი „საჩინო“ (რედაქტორი ნატო მეფარიშვილი) (ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მონაცემები რამდენიმე ლექსთან ერთად, 2019 წელი, სექტემბერი).

- ჟურნალი „ათინათი“ - წიგნი „ქართული სიწმინდეები“, რამოდენიმე ლექსი (N1 (35) და N2 (36), 2020 წელი).

ჰყავს მეუღლე - თინათინ გეგეშიძე, უმაღლესი განათლებით (ფილოლოგი); შვილები - კონსტანტინე ადეიშვილი, დაბადებული 1979 წელს, დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და შალვა ადეიშვილი, დაბადებული 1984 წელს, დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; ოთხი შვილიშვილი.

# „ეს უცნაური ცხოვრება“ პირველი

## აკაციის ყვავილობა

აკაციის ყვავილობის სეზონია...
ნიავს მოაქვს საოცარი სურნელი...
იმ ოცნებებს, დღემდე რაც ვერ მიპოვია...
შინაგანად სულ ვეძებ და სულ ველი.
ვიცი მაინც ყველა სურვილს ავისრულებ...
მზის სხივია, ახლა დარდის მისწრება...
აკაციის ყვავილობის სეზონია...
აკაციის ყვავილობა იწყება.

2015

## ვედრება...



ფ ე რ ი ! უცვალე ყველაფერს,
ხალხის იმედო- ნეტარო,
თავადაც შევცვლი არსებას,
რომ უფალს არ გავეყარო...
იმედის თვალით გიყურებს,
შენგან შექმნილი სამყარო,
აღარ მოხდება არასდროს,
ეშმაკი ჩემში ვატარო...

2018 წლის 19 აგვისტო - ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა.

## ა დ ა მ ი ა ნ ი !

ღირსების სახელს მისცემენ - იმას !!
ვინაც გაუძლო არსებულ გრიგალს,
ვინც ქარიშხალში იცხოვრა წმინდად!...
პატიოსნებით, სინდისიანად,
სუფთა არსებით მიბარდა მიწას.

2012

## ჭეშმარიტება!

ქრისტიანობის მტრებსაო,
გონება არ აქვს ბევრსაო,
მიწაზე ვეღარ დადიან,
უფსკრულს ავსებენ ბნელსაო.
სურთ, დააჩოქონ სამყარო,
ეცილებიან, ღმერთსაო,
ნაწილიც შემოიარეს,
საწამლავს აფრქვევს ყველაო.
დაიწყეს, ვერ მოახერხეს,
თვით დაიმხამეს ენაო,
სურვილის ასრულება კი,
ვერაფრით შესძლეს ვერაო.
მცხეთის დალაშქვრა ისურვეს,
ვეღარ გაუძლეს ძლევასო,
ის წმინდა ადგილია და
მსგავსი, ვერ ძალუძს ყველასო.
ეშმაკმა სცადა თავისი,
რწმენას აუწყა თავზარი,
ქრისტე ღმერთს ღიად ებრძვიან,
ტაძრებს გაუდით ზანზარი.

ნუ ვიტყვით, რად გვეშინია-
მცხეთას გვაქვს ქრისტეს პერანგი,
ხობში ღვთისმშობლის კვართი და
შუა ქართლს- უფლის ტაძარი,
უძველეს ქართულ მიწაზე-
სულიერების საყდარი.
საშიში, მხოლოდ ის არის,
ფეხზე აღარ დგას მრევლია,
გაგვითამამდა დუშმანი -
მტერს რისხვა არ უგემია.
როდემდე შევძლებთ მოთმენას?
ღმერთს დაველოდოთ სჯობია!
ყველას მიეზღოს კუთვნილი
მე ვიყო, თუნდაც ბერია.

2015

## მარადიული გალაკტიონი

{დედა - მაკრინე ადეიშვილი}



მაკრინე ადეიშვილი შვილებთან - გალაკტიონ და აბესალომ (პროკლე) ტაბიძეებთან ერთად

ორპირის ქალებს
გლეჯდა რიონი
იმ ღამით იშვა
გალაკტიონი

მ - ჩქეფარე იყო ხშირად რიონი,
მწვერვალზე იდგა გალაკტიონი.
ა - ღარ ჩამოდის ჭყვიშთან რიონი,
ჩვენშია მუდამ გალაკტიონი.
კ - იდევ ჩაივლის ფშანში რიონი,
მებრძოლი იყო გალაკტიონი.

რ - ადგან არ ღელავს ჭყვიშთან რიონი,
არ დავივიწყოთ გალაკტიონი.
ი - მ დროს გაგიჟდა მშვიდი რიონი
ქვეყნად რომ იშვა გალაკტიონი.
ნ - ავიც ჩვენია, მტკვარიც - რიონიც,
გენია იყო გალაკტიონი.
ე - ერთხელ გაშმაგდა ჭყვიშთან რიონი
ლეგენდად დარჩა გალაკტიონი.

... ყუმურიდან მონაბერი
სიო არხევს ჭყვიშის ქალებს,
დედის ძალა მაღალია
ქედს უხრიან ქართველ ქალებს.

2017

## ს ა ო ც რ ე ბ ა !

არ მსურს!! ჩვენს მხარეს კორტნიდეს -
სპარსი, თურქი და არაბი,
ჩინელმა, გადამთიელმა,
ბინა დაიდოს მ ა რ ა დ ი ს.

მმართველმა ძალამ წარსულის,
თუნდაც მომდევნო ამალის,
არ მოისვენა გაყიდა,
ქვეყანა მთიდან-ბარამდის.
მრცხვენია!! ჩვენი წინაპრის,
თავს არ ზოგავდნენ არაფრით,
რა ვუთხრათ სულმნათ დაღუპულთ,
სისხლი რომ ღვარეს მრავალგზის.
არ მსურს!! ჩვენს მხარეს კორტნიდეს -
სპარსი, თურქი და არაბი...
ყველამ ვიცხოვროთ ცალ-ცალკე,
ყველა გვიყვარდეს მარადის!

2011

**შეგონება!**

ცხოვრება დადგა რთული,
ძირძველი ვაზიც გახმა,
უნდა დათესო ... კარგი,
რომ შეგიყვაროს ხალხმა.

არ უნდა გახდე
მრუდი,
რომ გაგამწესონ ...
გაღმა.
ცხოვრება დადგა რთული,
ძირძველი ვაზიც გახმა,
უნდა დათესო ... კარგი,
რომ შეგიყვაროს ხალხმა!

2017

## შენ გეუბნები და შენც...



ტაძრის ეზოში შესვლა თუ გვინდა,
არ უნდა ვკითხოთ ბერს,
თვითშეგნებით რომ ასე არ ხდება
მისთვის ვემდურით მრევლს!
ტაძრის ეზოში ხე რომ დაირგოს,
სწავლება გვინდა ბევრს!!
ამ წმინდა ადგილს მოვლა რომ უნდა...
ნაკლებად გვჯერა ჩვენც.

სხვის დარგულ ხეს რომ წყალს არ დაუსხამთ,
თვალწინ გავახმობთ ნერგს,
რა უნდა გვითხრან ვიღას შევჩივლოთ,
ამაზე ვფიქრობთ ბევრს.
ტაძრის ეზოსთვის... წყალს რომ ჩავკეტავთ,
საიდან მოდის ეს?,
ვისი გორის ვართ ყველა იკითხავს,
ხვალ იქნება თუ ზეგ. ...
წლები გავიდა, არას ვაკეთებთ,
აქ სავანისა შექმნაზე,
ჩვენ ისე ვფიქრობთ, ვიღაც მოვა და
იგი იფიქრებს ყველაზე?...
ტაძარს ჩაუვლით გულგრილად,
ღმერთი არ გვწამს და ხატია,
იქ თუ სხვა, სანთელს დაანთებს,
ვფიქრობთ რომ ჩვენთვის ანთია??
არ შევცდეთ!! დროა ვიფიქროთ,
რომ ეს ქვეყანა ღმერთისა,
გადავიხადოთ მადლობა,
რომ უფლის სახლი გვეღირსა.

ვარდი რომ დავრგოთ-ვახაროთ,
ვფიქრობთ რომ დიდი „გრეხია"??,
ერთ დროს ცნობილსა, ჩვენს ყუმურს
ეშმაკი შემოეჩვია.
სულიერების ტაძარი,
ღმრთისაგან არის მოძღვნილი,
ყველას ვურჩევდი ღვთის მიმართ,
აწ მაინც გავხდეთ მორჩილნი.
არ გვითხრას უცხო ტომელმა,
რად გავხდით ეშმაკთ მორჩილნი,
დრო დადგა გამოვიფხიზლოთ,
ჩამოვიშოროთ ბორკილი.
ტაძრის ეზოში შესვლა თუ გვინდა,
არ უნდა ვკითხოთ ბერს,
თვითშეგნებით რომ ასე არ ხდება,
მისთვის ვემდურით მრევლს!

ყუმურის წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოდან.

2010

## ვანი-ბაღდათის მიტროპოლიტს
## მეუფე ანტონს



ეკლესიას მოევლინა
კაცი ბრგე და ნიჭიერი,
ვანი-ბაღდათის მხარეში
გვერდით უდგას ერი-ბერი.
ავტორიტეტის ღრმა ფესვით,
ფრთებს ასხავს ახალ-ახალსა,
ეპარქიაში მისვლიდან
ერთი აქცია ათასად,
უფლის სახლების სიმრავლემ
პიკს მიაღწია მართლაცა.

2017

## ქართული პოეზიის რაინდს
## ბატონ ვაჟა ეგრისელს



პოეზიის რაინდია
ქვეყნად არ ჰყავს ბადალი,
ოლიმპოს მთაზე ბინადრობს
ქართული ლექსის სარდალი.
        აიეტის კოლხეთიდან
        გამობრწყინდა კაცი ბრძენი,
        და „ფსალმუნთა" ასი ტომი
        ჩვენ მოგვართვა როგორც ძღვენი.
და სამყაროც დაგვანახა,
დღევანდელი... მერმისელი...
ჩვენთან არის პოეზიის,
ლომი ვაჟა ეგრისელი.

2019

## ფაქტი და რეალობა

შვილიშვილთ, ბებო-ბაბუა
მართლაც რომ აღარ ადარდებთ,
თვლიან რომ წარმავალია
ვერ აღიქვამენ სადარდელს.
ეს სენი, წესი რომ გახდა
იმას ვერ მოშლი ვადამდე,
შეცვლაზე ფიქრიც არაა
რაკი დამკვიდრდა აქამდე.
ნუღარ ვიდავებთ! შევცდებით,
სად ვნახოთ გამოსავალი?
ცხოვრებამ რაც დააწესა
იმას ვერ შეცვლის მრავალი.
შვილიშვილთ პაპა-ბებია
მართლაც არასდროს ადარდებს
სიღრმისეულად შევხედოთ
ვერ აღიქვამენ სადარდელს!
ეს სენი თავად ჩვენც გვჭირდა,
არ დაველოდეთ სანახებს,
წინაპრებს ჩვენც ის ვარგუნეთ,
აღარ შევხედეთ არაფერს...

როცა ეკუთვნით მოკითხვის ჟამი,
ვერავინ ვიცლით ვერც ერთი წამით,
მაშინ როდესაც, ბებო-ბაბუა
ჩვენთვის იწვოდნენ ცოცხალი თავით.
თავს არ ზოგავდნენ მომავლისათვის,
თუმცა, შემორჩათ ცრემლები თვალში,
დრო დაგვიდგება თავად მივიღებთ
ნამდვილ საზღაურს უძირო ნავში!

2018

**ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს...**

მეგობრობა ასეთია,
მან არ იცის „მისი-სხვისი"
გავუფრთხილდეთ, მოვერიდოთ
ვინაც ტვირთი იდო მისი...
მეგობრებს ხომ თავად ვირჩევთ,
რასაც არ სჭირდება ფიცი,
თუ ოდესმე ბზარი ჩნდება
მას აკეთებს მთლად უღირსი.

გავუფრთხილდეთ მეგობრობას
ცხოვრება გვაქვს მოკლე - მწირი,
კეთილი საქმე ვაკეთოთ,
რომ არ დავრჩეთ განაწირი.

მეგობრობა უფასოა
თანადგომა კიდევ რისკი,
ღრმად ჩავხედოთ სინამდვილეს
ხალხმა, რომ გვიწოდოს ღირსი.

მეგობრობა ანგარების...
უმალ მოვიშოროთ რიდით,
ავაშენოთ სიყვარულის,
კეთილშობილების ხიბლით.

მეგობრობა არის მკაცრი
მან არ იცის დიდი რიდი,
ძმობა ურთიერთობების,
გამგებია მეტად დიდი.

შეგიძლია! მკაცრად დაცვა?
სუფთა რწმენით კლდესთან მიდი,
შეუძლებელს დაძლევ მარად
არ დაგრჩება გულში ბინდი.

მეგობრობა ისეთია
ახლოს ყოფნა გმართებს დიდი,
მის სამყაროს რომ ისწავლი
შემდეგ არ გჭირდება გიდი.
მეგობრობა მტკიცე არის
მას ვერავინ ვერ შეარყევს
იქნებ ვინმეს ცრუ მოწვევით
თავად ვსპობთ და ჩვენვე ვანგრევთ.
გავუფრთხილდეთ ფაქიზ თემას,
ნუ ვენდობით ახალ მხარეს,
შევეცადოთ ვიყოთ ერთად
ნუ გავუღებთ მაცდურთ კარებს.
ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს
თუ არ გავხდით მისი ღირსი,
ტოტზე, სადაც ჩამომჯდარხარ,
არ დაიწყო მოჭრა მისი.

2014

## შე... გონება

ზოგს ბუნდოვანი... არასწორი
უყვარს გზა-შარა!!
სიყვარულის ხე ბევრისათვის
ხშირად გამხმარა,
თუკი ვერ მიხვდი ცხოვრებაში
ვინ გყავს ერთგული,
გირჩევს სამყარო გამონახო
კარგი მეგზური.

2013

## ჩვენი სკოლა !!!

{ვანი, ყუმურის საშუალო სკოლა}



ღმერთი არის შემოქმედი,
ღმერთმა მოგვცა ტაძარი,
ამ ფოტოს რომ ამზადებდით...
ეკლესია სად არის?!

ლამაზია სოფლის ხედი,
არნახული რამ არის,
ვინც ვერ ამჩნევს თვალში დირეს,
მაშინ ბეწვი სად არის?!
ძლიერია ჩვენი სკოლა,
არსად არ ჰყავს სადარი,
მომავალშიც გაგვიზარდოს,
ხალხი ძალზე მაგარი...

2019

## ფიქრები გალაკტიონის ნიკორწმინდაზე



გალაკტიონის მიერ შოვ-ში დამსვენებლებთან შეხ-ვედრაზე წარმოთქმული სიტყვიდან ამონარიდი...

„მოხუცმა ნიკორწმინ-დელმა დურგალმა – ნიკო-ლოზ ვაჩაძემ დიდის გულმოდგინებით გაკე-თებული მაგიდა დამიდგა

ტყეში – მუხის ქვეშ, გაიყვანა რა ბილიკი ვილიდან- ჩემს მაგიდამდე და ამგვარად ჩემს განკარგულებაში იყო ახალთახალი ხეივანი, ჩემთვის სრულიად საკმარისი დაფიქრებისა და მოგონებებისათვის. როდესაც ნიკორწმინდელი დურგალი აქ, შოვში მაგიდას მიკეთებდა, თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ. მე დავპირდი მას, რომ ამ მაგიდაზე დავწერ რაიმეს იმ ძეგლის შესახებ. მე ეს დაპირება შევასრულე, ვინაიდან მე ჩვეული არა ვარ დაპირების არ ასრულებას. იმ დღესვე დავწერე „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

წყარო: ვახტანგ ჯავახაძე (1989) - „გალაკტიონის თხზულებანი ორ წიგნად“ (თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, გვ 282-297).

## უკვდავი გალაკტიონი

(ნიკორწმინდის გამოძახილზე)

{მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა.}

* * * გაირკვა!! გალამ შეიტყო
ამბავი წმინდა - წმინდისა,
ქებათა- ქება დიდი ქმნილების,
წარმტაცი ნიკორწმინდისა.

რაჭის სამყაროს - „შოვი"- ს სანახით,
რომ მოიხიბლა სიბრძნის დედანი,
არც კი უნახავს თვალსაწიერზე,
ისე გვიბოძა ლექსად ქებანი.

სხვის ნაამბობზე, ძეგლი რომ აღიქვა,
ლექსად ჩამოქნისას თვისი აზრი გვითხრა...
ქრისტეს შობის დღიდან სვეტი ამობრწყინდა,
ერთიანმა საქართველომ, ჩუქურთმები გვიშვა.

დიდია გალაკტიონი -
მარადიული ხიდია,
მარადიული მუზაა,
მარადიული ხიბლია.
სურვილი ჩნდება შეიცნო,
მისი უცნობი ბუნება,
მისი მაღალი სტრიქონის,
ლექსებად აბულბულება.
გალა! რომ ასეთია,
ხოტბაც მეტი უნდა,
უდიდესი ტალანტი,
სხვა სამყაროს ქმნიდა.
ვარსკვლავებთან მდგომთან,
ახლო ყოფნა გვინდა,
ღმერთმა მოგვივლინა -
ღირსი ყველა მხრიდან.

სხვის ნაამბობზე, ძეგლი აღიქვა,
ლექსად ჩამოქნა სანთელივითა...

{...მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა დიდი ნიკორწმინდა}

ვუძღვნი ჩემს მეუღლეს, ნიკორწმინდელ თინათინ გეგეშიძეს.

2018

# ქართული სიწმინდეები




**ჩვენი იმედი**

საქართველოს პატრიარქს,
უწმინდესსა და უნეტარესს
ილია მეორეს

ჩვენ მოგვივლინა ღმერთმა ილია,
ერთობ დიდია მისი კურთხევა...
ორმოცი წელი დღეს მიილია,
რომ იგრძნო ლოცვა ყველა კუთხემა.
რწმენადაკარგულთ მისცა სანთელი,
როს ააფრინა ცისკენ „სამება“
და ააცდინა ერი ქართველი,
მაცხოვარივით წვას და წამებას.

ქართველი ხალხი ღმერთს აზიარა
და აუხდინა დიდი ოცნება
მრევლს მოურჩინა ყველა იარა,
ლოცვით მოჰფინა მთა და ბორცვები.
უღვთოდ დარჩენილ ახალ თაობას,
ისევ არგუნა მზე და მირონი,
მერე შთაბერა გამბედაობა
საქმე დიადი და საგმირონი.
...ცად მიიწევენ ახლა ტაძრები,
მონასტრები და ეკლესიები,
ცა - ვარსკვლავებით კვლავ იხანძრება,
დედამიწა კი ხარობს იებით.
და ყველგან ტკბილი ისმის გალობა,
საამური და ანგელოზური,
ეს სიხარული მან გვიწყალობა,
ცად ასული და... ციით ჩამოსული.
ჩვენი ვარსკვლავი ცაში ციმციმებს...
მეცხრე ცის თაღზე რწმენით მივედით,
და, ვითარც უფალს, მას შევციცინებთ,
რადგან ის არის ჩვენი იმედი.

2018 წლის 25 დეკემბერი.

# ქართული სიწმინდეები



ალავერდი

ცად გედივით აფრენილა,
ფრთებ-ქათქათა ალავერდი,
და ღმერთებთან ლოცვად მიაქვს
მომლოცველთა ხმის ხავერდი.



შატილი

ჩემთვის ხიბლია ყოფნა ტაძარში,
ვიხილავ იმას- მთაში თუ ბარში,
გინდ იყოს იგი ბარისახოში
და თუნდაც, იქვე გუდამაყარში.



ხევის სიონი

ყაზბეგი „ხევის პატარძალია“
და მთები გახლავთ მუდამ მაყარი,
ხარობს შატილი და ბარისახო,
არაგვიცა და ფასანაურიც.



გერგეტის სამება

გერგეტს! სამებას ხშირად შევუვლი,
ზარებს დარეკავს დიდი „სიონიც“,
სტეფანწმინდიდან ნათელს გვაფრქვევენ-
დიდრონი მთები კავკასიონის.



კვეტერის ეკლესია

ხელს გვიქნევს და მიგვაცილებს,
მცხეთის ჯვარი და კვეტერა,
თეთრი გიორგი დიდ ძალას გვაძლევს,
მტერი ვერასდროს ვერ მოგვერევა!



ბოდბის მონასტერი

წმინდა ნინოს საფლავს იცავს,
ბოდბის ძველი მონასტერი
და მთელ კახეთს ეფინება
მადლი მისგან მონაბერი.



ბოლნისის სიონი

მე, კი ვაღმერთებ ბოლნისის სიონს,
ეს ყველამ იცის დიდი ხანია,
და სანთლებს ვუნთებ მცხეთის სანახებს,
ბედიას, წყლულეთს და ბეთანიას.



ნინოწმინდის მონასტერი

რომ მიიწევენ ცისკენ ოცნებად,
ჩვენს ციხე-ტაძრებს ვინღა დაითვლის,
ნინოწმინდა და სვეტიცხოველი,
ანჩისხატი და მამადავითი.



### დარიალის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსი

დარიალის ხეობაში,
ოსეთ-რუსეთის საზღვრამდე,
შექმნილმა დიდმა კომპლექსმა,
უნდა დაგვიცვას მარადდღე.
ეს ანგელოზთა ტაძრები,
თორმეტს მიაღწევს ხვალ და ზეგ
წმინდა მამათა ლოცვებით
მტერი ვერაფერს დაგვაკლებს.



ლომისის ეკლესია

მწვერვალებიდან დავხედავ ლომისს,
სანთლებს დავუნთებ გიორგი წმიდას,
ანანურიდან კვირიკეს გავლით,
თაყვანს ვცემ კარის წმიდა ანგელოზს -
მჭადიჯვრის კართან სუნთქვაშეკრული
ვდგავარ და... იქნებ წმიდა გიორგიმ,
თეთრონი უცებ შემოაგელვოს.



ახალი ათონის მონასტერი

ანაკოფიის ტაძარში -
სვიმონ კანანელს სძინავს...
წმიდა ნეშთების სურნელით -
შემობრძანდება დილა.



სვეტიცხოველი

ის საქართველოს იმედია... დიდი იმედი,
ჩვენი წარსულის და მომავლის შუქი მთოველი,
ქრისტიანობის სიყვარულით ამაღლებული
დედა-ტაძარი, სანუკვარი სვეტიცხოველი.



ჯვრის მონასტერი

მცხეთა - ღმერთების სამეფო,
ქრისტიანული ლამპარი,
ჯვარი დაჰყურებს მაღლიდან -
ვით ლეგენდა და ზღაპარი.



შიომღვიმე

ციდან დაგვცქერს ზედაზენი და შიომღვიმე
ლოცვა ასხია ხეებს კვირტებად,
ბებრის ციხე კი სიცოცხლეს გვაფრქვევს
და სიყვარულს და სითბოს გვპირდება.



წილკნის ეკლესია

დედის მონასტერს მხარს უბამს
წილკნიდან ძველი ტაძარი,
სვეტიცხოველში მირონის ხარშვა
სხვა სურნელი და სხვა ძალა არის.



ქაშვეთი

თბილისს დალოცავს სამება
და მასთან ერთად სიონი,
წმიდა ქაშვეთი, დიდუბე-
და მთები კავკასიონის.



სამება

წმინდანთა დასი!! ნინო- ბარბარე,
ნიკოლოზი და გიორგი,
ახალ-ახალი ტაძრები
მიმატებული მირონით,
...საოცრებაა სამება,
ღმერთმა გვიბოძა ის... მგონი.



ნიკორწმინდა

ბარაკონი, მრავალძალი,
საოცარი ნიკორწმინდა,
ჩვენს ქვეყანას რაჭის მხრიდან
მამა ღმერთი ლოცავს ციდან.



გელათის მონასტერი

გელათმა შექმნა სწავლულთ სამყარო,
მოწამეთამ კი, მებრძოლი სული,
აკადემიის ბრძენმა შემქმნელმა
ქართველთ გზა მისცა განათლებული.



ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის ტაძრის ზეობით,
ცაში აფრინდნენ დიდებით,
აღარ გვჭირდება სხვა ძალა
გარდა სულმნათი ხილვების.
სამყაროს ამცნეს ქართველთა
პირველობა და ზეობა,
ღმერთმა მოგვმადლოს სიკეთე...
ლოცვა და კეთილდღეობა.



მოწამეთას მონასტერი

მოწამეთა განასვენებს
დავითსა და კონსტანტინეს,
ქვეყნისათვის წამებულმან
უკვდავება ქმნეს მათივე.



შემოქმედის ეკლესია

სურვილის მიუხედავად,
წიგნში ყველა რომ ვერ მოხვდეს,
თავგანწირვით რომ იბრძოლო,
გვერდს ვერ აუვლი შემოქმედს.

გურიის წმიდა სვეტები,
შემოქმედი არა მხოლოდ,
თუ შეივლით ამ კუთხეში,
ღვთის მსახურებს ნახავთ ბოლოს.



ჯიხეთის მონასტერი

გაეცანით, ჯიხეთს - ერკეთს,
გავიწიოთ ბუკნარისკენ,
საოცრების ნახვა თუ გსურთ,
ნუ დატოვებთ ჯუმათს -აკეთს,
ლიხაურის ნახვის შემდეგ,
ვანის მთაზე მოდით... აქეთ.



ფოთის საკათედრო ტაძარი

თვალს ვერ ვაცილებ დანახულს,
მინდა ვეფერო ანანურს,
ფოთის მოხატულ მონასტერს,
ვფიქრობ ხელს ვინმე ვერ ახლებს,
ქრისტეს რჯულს მიკედლებულებს-
ზე - სილამაზე გვანახეს.



გრემი

ნეკრესის მადლი ფარავდეს,
ქართველთა წმიდა სამყაროს,
გრემის ტაძარმა დაიცვას,
და მტერს შავი დღე აყაროს!



სვიფის ტაძარი

სვიფის, ქურაშის, სეტის, უღვალის,
წვირმის, ჰადიშის და ნაკიფარის-
წმიდა გიორგის მადლი ჰფარავდეს
მთელ საქართველოს მთიდან ბარამდის.



ჭოხულდის ტაძარი

თუ გადავხედავთ... ჭოხულდ- ლაღამის,
ლახუშდ-მულახის, ჩვაბი-იელის,
და მაცხვარიშის - სიწმინდის ძალებს,
იგრძნობთ ხალხი რომ არის ძლიერი.



წმ.კვირიკესა და წმ.ივლიტას სახელობის ეკლესია

... მაცხოვრის მადლმა მწვერვალებიდან,
კვლავ გვიძლიეროს მორწმუნეთ სული,
წმიდა კვირიკემ, წმიდა ივლიტამ,
კალიდან ლოცოს „ქალდეველთ" რჭული.



ვარძია

სამონასტრო კომპლექსებში
განთქმულია ვარძია,
იგი დედა საქართველოს-
დიდზე დიდი განძია.



ზარზმის მონასტერი

მონასტრებში ცნობილია -
ზარზმა, ჭულე, საფარა,
წირვა - ლოცვის აღვლინებამ
მტერს ძალ-ღონე აყარა.



ტიმოთესუბნის მონასტერი

მნახველს იპყრობს ისტორიით:
თორი, სადგერი, თავფარავანი,
ტიმოთესუბანს ტოლი რომ არ ყავს
ეს ვიცით ჩვენ და... სხვამ კი არავინ.



კვარშა

ეკლესიებში ცნობილი არის-
ღართა, თისელი, ტონთა და კვარშა
ხიზაბავრას სიამაყეს,
დიდება და ჩვენი ვაშა!



სხალთის ტაძარი

სხალთის ტაძარმა აჭარას,
შემოუნახა სათქმელი,
ქრისტეს გზავნილი ანდრია
ყველასთვის არის სანთელი.



ჩეხედანას ეკლესია

და იდგნენ გაოცებული
ვინც თხილვან-ცხმორისს შეხედა!
ბრწყინავდნენ ეკლესიები
ვერნები, ქვახიდ-ჩეხედან.



ატენის სიონი

ატენის სიონს ბაძავდნენ -
ლოცვების სიმხურვალეთი:
ზემო ნიქოზი, არდისი,
ბნავისისა და დვალეთი.

ლოცვა- კურთხევის სამყარო
შექმნილა არაშენდაში,
გუჯაბაურში, ბოტის-ბენისში
და ვარიანის წმინდა ტაძრებში.



გორის საკათედრო ტაძარი

გორის ღვთისმშობლის ტაძარში,
ღვთის რწმენა მოსჩქეფს ნიადაგ,
გორის ჯვრის ტაძრის კარებთან,
მოსვლა არ დააგვიანდათ!



რუისის ტაძარი

რუის-ურბნისის ტაძრებში,
ლოცვებს აღავლენს რჩეულნი,
დიდი იმედი არსებობს -
მრევლი არ დარჩეს ეული.



ყინწვისის მონასტერი

ყინწვისის ცნობილ ტაძარში,
ჯვარშემართული ადიან,
იმ კუთხის მრევლი კი არა,
სულ სხვა მხრიდანაც დადიან.



ქვათახევი

ქვათახევის ტაძრის ნახვა,
თქვენ გექცევა მერე ფარად,
ქვემო ჭალას, იგოეთს და თეზის სანახს,
უმღერს გული,

მუხლთმოდრეკით ვუერთდები,
უფლის მადლით დანაღმული.



იკორთის ტაძარი

იკორთის ტაძარს მიბარდნენ-
გმირები ვითა სიზმარი,
ბიძინა ჩოლოყაშვილი,
შალვა და ელიზბარი.



ყუმურის წმ. გიორგის ეკლესია

ხშირად ვნატრობდი მშობლიურ ყუმურს,
ჰქონოდა უფლის ახალი სახლი,
ძველს არ ეღირსა ჩვენთან მოღწევა,
ახალს კი დიდხანს ელოდა ხალხი.



ყუმურის წმ.გიორგის ძველი ეკლესიის ნანგრევები

და აი ვცადე, მაგრამ გულწრფელად,
მე მქონდა რწმენა და გული ცხელი,
გულთმეცნიერი მიმიხვდა უმალ
გამომიწოდა ორივე ხელი.



## ყუმურის წმ.გიორგის ძველი ეკლესიის ნანგრევები

წამომაყენა, შთამბერა ძალა,
მებრძოლა, მემკა, - ჩემი სამკალი,
და იმ მიწაზე, რომელზეც ვდგავარ,
მეშენებინა უფლის ტაძარი.

მე ვინ ვარ?! უფლის ხელმა მატარა,
გამისათნოვა ყოფნის ბილიკი,
და დღესაც ყველგან... დღისით და ღამით
უფლის ნეტარი შუქი მიმიძღვის.

მადლობელი ვარ უფალო შენი...
რომ ამიმაღლე ოცნების ჭერი.

2019

## მცხეთის ჯვართან

მცხეთას დაჰყურებს მაღლიდან
ეს საოცარი ტაძარი...
მითხარ ასეთი შემკული
ქვეყანა კიდევ სად არი ???

2015



ელგუჯა და გეგა ადეიშვილები



სანდრო, თინათინ, გეგა ადეიშვილები

# ბარბარობას გილოცავთ




ველოდებით... მოუთმენლად,
წმინდა ბარბარეს შემოსვლას,
კერიებს დაგვილოცავს და
გვისურვებს კეთილდღეობას.
ჩვენი სამყაროს, კარების ზღურბლთან,
შევხვდეთ სანთლებით ხელში,
ვთხოვოთ მომავლის ბედნიერება
და სურვილების ახდენა ჩვენში.
შეგვეწიოს და გვფარავდეს
წმინდა მოწამე ბარბარე,
ქრისტესმიერად გვაცხოვროს,
სახლში იქნება თუ გარე.
დაველოდოთ მოუთმენლად,
წმინდა ბარბარეს შემოსვლას,
კვლავაც დაგვლოცავს, გვისურვებს,
კეთილდღეობის არ მოშლას.

2019 წლის 17 დეკემბერი
პირველი ბედობის დღე
{კეთილი საქმეები დაგბედებოდეთ}.

ბევრეთი!! - წინასიტყვაობის მაგიერ – სოფელი ბევრეთის წმინდა თეკლას სახელობის დედათა მონასტერი (პირობითი სახელი “კალამონი” – მთა ანტიოქიაში, სადაც მოღვაწეობდა წმინდა თეკლა) თბილისიდან 35კმ-ში, მცხეთა, სოფელი ბევრეთი, მდინარე დიღმისწყლის სათავე, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთის დაბლობი, ტყის შერეული (ნაძვი) მასივით დაფარული ხეობა, ზღვის დონიდან 1100 მეტრი {1995 წლიდან მონასტრისათვის ადგილის შერჩევის, მიწის ნაკვეთის პირადი სახსრებით შეძენის და მონასტრის მშენებლობის მოთავე - მამა თეიმურაზ ჩაჩიბაია}. წმინდა თეკლას დედათა მონასტრის წინამძღვარი - იღუმენია თეკლა {კუჭუხიძე}, მოძღვარი და წმინდა იოვანე ნათლისმცემლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი - †იღუმენი იოვანე {ჩაჩიბაია}.

მასალა სოციალური ქსელიდან მოიძიეს – თამარ ფოფხაძემ და სოფიკო ბოლქვაძემ.

## ბევრეთის (კალამონი) წმ.თეკლას დედათა მონასტერი



თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.
ცად აზიდული მთების - საწყისში,
შეირჩა მართლაც წმინდა ადგილი,
ქალაქთან ახლოს, ტაძარში შესვლა
წესით, ყოველთვის არა ადვილი.
მარადისობის ხე ხარობს - ნაძვი,
როცა უყურებ გიქრება დარდი,
გიპყრობს ბუნება -ულამაზესი,
იმედი ჩნდება ძალზე უღრმესი.

საოცარი რაღაც ვნახე,
უფლის სახლი დავინახე,
სამყარო სიწმინდის მარგი,
ბუნება ღმერთის ნაქარგი.



ტაძარი დიდმოწამეთა,
სავანე წმინდა – მიზნითა,
იქვე არსებულ შირიმით,
ნაგები ძველი სტილითა,
მსახურთ მოიწვევს კომპლექსი –
რჩეულებს დიდი რიდითა.

ღმერთი ადიდებს დიდ წმინდანს – თეკლას,
მადლს გადმოაფრქვევს მონასტრის ამგებთ,
და აამაღლებს მსახურთა დიდ შტოს,
უკლებლივ ყველას, უკლებლივ ყველას...

ვერ დაივიწყებ ამ ძვირფას ადგილს...
სადაც ულევი მადლი ირევა
და ამიტომაც ნიადაგ მრევლი
ამ „სამოთხისკენ“ მიედინება.

თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.

2020

# ჩემი
# ლამაზი
# სოფელი




**თემი ყუმურის**
{ნაკოტრავას მთა}

ცად აზიდულ მწვერვალებში,
ჩაფლულო - სიღრმისეულად,
თემის მკვიდრთა საღი აზრით,
აღარ იქნები - ეულად.
თვალთ ხედვით, მაღალ - მთიანო,
ყოველმხრივ მართლაც მზიანო,
ვფიქრობ, მის ლამაზ კალთებზე,
სვლა რომ არ დავაგვიანოთ.
უმაღლესი მწვერვალია,
ქედი „ნაკოტრავა"-სი,
თუ არ ვცდები სიმაღლე აქვს,
მეტრი მართლაც რვაასი.
იმერეთში ერთადერთი...
დიდია და ლამაზი,
გვერდს უმშვენებს ჯვარიქედი,
მუქედ - კაკასუბანი.


დუცხუნი

მსხალთავაკის მთის მასივი
მართლაც თვალთ- უნახავი,
მდინარეთა შენაკადით,
ზამთარ - ზაფხულ უშრობი,
თუ ბუნების ნახვა გინდათ -
დუცხუნია უცნობი.
თემს ამშვენებს მშვიდი სივრცე-
წინაპრებისეული,
დედოფალის სადარია
ქედი პაატასეული.
შუასოფელს, მიქელეფონსა,
მუქედს თუ კაკასუბანსა,
დიდღელეს, ჭალა-სამზიარს,
მაისოურს და დობიროს!!
სამოთხის სახელს მივცემდი,
ჩემი უფლება რომ იყოს.
ზღვის დონიდან სიმაღლეზე,
ორას ოცზე - არცა მეტით,
ზომიერი კლიმატით და
საოცარი ტყე-მინდვრებით.


ჭალასამზიარი

ბაღ-ვენახით განთქმულია,
ალადასტურს ვინ არ ეტრფის,
ჩხავერი- ცოლიკაურის
სამშობლოა, მტკიცედ გეტყვით.
ადესას ღვინით განთქმული,
სამზიარი და გულვანი,
ყუმურის ციხის გორაზე
მუხლებს იმტვრევდა დუშმანი.
ნაკოტრავა! სიმაღლეში,
რვაასს ცდება ხომ გითხარით!
იმერეთის სხვა მხარეში
ბევრი არა მისი დარი!
მწვერვალიდან ხედში მოსჩანს,
სვანეთი და ფაზისი,
იქვე თვალწინ წარმოჩნდება
ბებერი ქუთაისი.
იქ დგომისას არეალში,
იცქირები საცხა,
სურვილი გაქვს „ტოფსიკა"-დან,
რომ გააძრო რაცხა -

ყველი, ჭადი, წიწილა და
ამა სოფლის ჭაჭა,
იმერეთი რომ მთავრდება,
იქვე მოსჩანს რაჭა.
უკეთესის ნახვას ალბათ,
ვეღარ შეძლებთ არ იცით?!
დილა - საღამოს თვალწინ გაქვთ,
აისიც და დაისიც.
მდინარის პირს, რომ აყვებით,
კეთილ გრძნობებს ბევრს განიცდით,
სურვილი მაქვს დაგარწმუნოთ,
ოღონდ რა გზით- ეს არ ვიცი.
თავად ნახეთ რასაც ვყვები,
იგი არის ჭეშმარიტი,
აღტაცებას ვერ დამალავთ,
ოღონდ თემში ყველგან მიდით!


სოფელი ყუმური

ვუძღვნი ჩემს მეუღლეს, თინათინ გეგეშიძეს

2019

## მონატრება და დარდი




აქ არის ჩემი სამყარო,
აქ არის ჩემი საყდარი,
როცა დროებით დავტოვებ,
თითქოს წელში ვარ გამტყდარი.

ზაფხულს ზამთარი სჯობია,
ზამთარსაც ზოგჯერ ზაფხული,
როცა არ გინდა, მიხვიდე,
ყველა სხვაგანა გასული,
ვერ ნახავ სალმის გადმომცემს,
საქმე ისეა წასული.




აქ არის ჩემი სამშობლო
აქ არის ჩემი წარსული,
ძნელია მარტო ცხოვრება,
მაწუხებს დრო გარდასული.

2020

**მონატრება!!**

{ყუმურის პეიზაჟი
აღდგომიდან ცოტა ხნის შემდეგ...}



ხილვა გვინდოდა ვერ შედგა,
პანდემიების შიშითა,
შევინარჩუნეთ წესრიგი,
ძლიერები ვართ ჯიშითა,
ვანელს ვერ ავნებს კორონა,
ეშმაკზე ადრე ვიშვითა.

2020

# მიძღვნა პირველი

## საოცარი რამე ვნახეთ!

{აკადემიური კაცის ანზორ ჯაფარიძის
საიუბილეო საღამო}



სამყაროში ბევრსაც მივწვდით,
ბევრი კარგი რამე ვნახეთ,
ამ დიდ ზეიმზე შეხვედრით -
სულ სხვა რაღაც დავინახეთ.
ანზორ ჯაფარიძეს ვეტრფით,
მძლე კაცს, მართალს - ბევრის მნახველს,
ხოტბას ვასხამთ ამ გმირ ვაჟკაცს
მისი თანამეინახნე.
მებრძოლს მედგარს - სრულად შემდგარს,
ღვთიურ სიყვარულის მთესავს,
მზადყოფნა გვაქვს პატივი ვცეთ,
ქვეყნად კაცის გამოჩენას.
იუბილეს მივულოცავთ,
იგი ჯანსაღ აზრებს აფრქვევს,
ბრძენკაცისთვის არ ვიშურებთ
სიტყვას სანაქებოდ სათქმელს.

ოჯახს, შვილებს, გარემოცვას
ერთად დავულოცავთ ყველას,
დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ,
ღირსეულს და მართლაც ბრგე კაცს.
დიდი შრომით, ისევ ბრძოლით,
მიაღწია მწვერვალებს!
გზა გააგნო ქარტეხილში,
მტრის თვალშიაც ელვარებს.
სცადა ბედი მწერლობაში,
გამოვიდა ერთობ დიდი,
ისტორიებს წარმოადგენს
მართლაც არ სჭირდება გიდი.
მორწმუნეა, უყვარს ღმერთი,
დააკვირდით ამ კაცს ერთი,
უფლის ძველი სახლის აღმდგენს,
არ სცილდება მრევლი გვერდით.
ერის ბურჯი - ხალხის დაცვით,
განთქმულია როგორც მარგი,
თანადგომას დიდ პატივს სცემს,
ყველას უყვარს კაცი კარგი.

გვერდში უდგას ბრძენი ხალხი,
ჩვენც ვამაყობთ მათი ღვაწლით,
ერის ხალხი, ბერის ხალხი,
ვისაც არ აქვს რამე ნაკლი.

ჭილდოები არ დააკლეს
უთვალავი საგმირონი,
დამსწრეთ სიმღერამ და ლექსმა
მოაფრქვია მადლ-მირონი.



სამყაროში ბევრსაც მივწვდით,
ბევრი კარგი რამე ვნახეთ,
ამ დიდ ზეიმზე შეხვედრით -
სულ სხვა რაღაც დავინახეთ.

2018

## დიდსულოვანი!!

{ეძღვნება გვარის ჭეშმარიტ წარმომადგენელს,
ზეინდარი-თბილისის მკვიდრს -
ამირან ადეიშვილს}



წინაპარმა ყუმურიდან
ოდეს გზა ირჩია მარგი,
საცხოვრებლად ღვთის წყალობით
ზეინდარი გახდა კარგი.
სამყაროში ბევრი ვნახეთ,
ერისა თუ გვარის კაცი,
გამორჩეულ პიროვნებას
მართლაც ძებნა უნდა სანთლით.
ამირანს ვეტრფით ბრგე ვაჟკაცს,
ცხოვრებაში ბევრის მნახველს,
ხოტბას ვასხამთ ჩვენს გმირ ვაჟკაცს,
რომ არ მალავს ნამდვილ სახეს.
რთული შრომით, ისევ ბრძოლით,
კაცი აღწევს მწვერვალებს!!
გზა გაიგნო ქარტეხილში
მტერი ვერას დააკლებს.

ჯიშ-ჯილაგით დალოცვილი
წინაპრისგან დამოძღვრილი,
სინდის-ნამუსს დიდ პატივს სცემს,
საქვეყნოდაა ცნობილი.
        შესაშური ქველმოქმედი,
        როგორც გვარში ისე ერში,
        გაჭირვებულ კაცს თან ყვება,
        მათთან არის ყველაფერში.
სტუმართმოყვარე, ზე-ძალის,
იცის სუფრაც მისი ფასიც,
თავს არ ზოგავს სტუმრისათვის,
თუ შეამჩნევს „რომ"-ა კაცი.
        სამშობლოს მისცა სიკეთე,
        შექმნა ინდუსტრია ერის,
        ქართულ ბაზრიდან განდევნა
        უცხო მხარის „პ ო ლ ი მ ე რ ი"-ც,
დასაქმებასაც უშველა,
ქვეყანას კი ყველა- ფერით.
მორწმუნეა, უყვარს ღმერთი,
აბა დააკვირდით ერთი



უფლის სახლი ააშენა,
ფონიჭალაც დაამშვენა.
ქვეყნის ბურჯი-ხალხის დაცვის,
განთქმულია როგორც კარგი,
თანადგომის ეტალონი
ყველას გულით უყვარს ნაღდი.
უდრეკს, მედგარს, კაცად შემდგარს,
ღვთიურ სიყვარულის მთესავს,
მზად არიან პატივი სცენ
ქვეყნად ამირანის მოსვლას.
ოჯახს, შვილებს, მთელ სამყაროს
ერთად დავულოცავ ყველას,
ნათელ მომავალს ვუსურვებ
ღირსეულს და მართლაც „მერანს".

2018

**ვანო ფარცვანიას!**



მარტოობაში გაზრდილი,
კაცი გამოდგა ხმატკბილი,
მუდმივად იცავს სიმართლეს,
იგი ლომია ნამდვილი.
ხალხს, გვერდში უდგას ლომურად,
მეგობრებს კიდევ მონურად.
ჭკვა რომ აქვს გასაოცარი,
არ დარჩა მტერი ცოცხალი.
უყვარს, შრომაც და ქეიფიც,
ცუდს მასზე ვერვინ ვერ იტყვის,
კაცურ -კაცობით გაქაჩა,
მისი ცხოვრება, ზენიტში.
შესანიშნავი ოჯახი,
შექმნა ბოლომდე ატარა,
უკმაყოფილო არვინ ჰყავს,
დიდი გინდა თუ პატარა.
მთელი ცხოვრება ნამუსი,
შეულახავი ატარა.

მთლად ანგელოზი რომ არა,
მე ნუღარ მკითხავთ „აქ არ ვარ",
თავად გიამბობთ ყველაფერს,
თუ ვინმემ... „სადმე ახარა".
კაცი არის ზომიერი,
მოქნილი და გონიერი,
ყველას უთხრა საკადრისი,
წინ ვინც დახვდა ღონიერი.
მარტოობაში გაზრდილი,
კაცი გამოდგა ხმატკბილი,
მუდმივად იცავს სიმართლეს,
იგი ლომია ნამდვილი.

2019

## თამუნა ნოზაძეს



ელგუჯა ადეიშვილი, თამუნა ნოზაძე,
ნათელა ჭინჭარაული

ღირსი ქალია თამარი,
ყველაზე უფრო მაგარი,
შესძლო რომ გადაელახა
მწვერვალი ძალზე მაღალი.
შვილით!! მიადგა ექიმებს,
ეძება გამოსავალი,
ვერვინ უშველა სნეულ ბავშვს,
ამოეწურათ სავალი.
იმედი თითქმის არ დარჩა,
ღმერთს შეევედრა სანთელით,
გადარჩენის გზის ძებნაში
არსად არ ჩანდა ნათელი.
მითქმა-მოთქმაში შეიტყო,
„გაცურვა" იყო საჭირო,
არ შეუშინდა სიძნელეს
პარიზში ბუდე დაიდო.
ღმერთმა უშველოს იმ ძალას,
ვინც ხელში საქმე აიღო,
ექსპერიმენტის გარეშე
იმედის დასკვნა დაიდო.

ექიმთა ჯგუფმა იმარჯვა,
გამოცდილება გაიღო,
თეკლა რომ გადაარჩინა
ეშმაკმაც ჭირი წაიღო.
ბრძოლას ემატა იმედი,
თამარს ხელში აქვს შედეგი,
რა შეძლო რა გააკეთა,
ამას ვერავინ ვერ გვეტყვის.
თავი არასდროს დახარა,
არ შეუშინდა არაფერს,
შვილს რომ სიცოცხლე აჩუქა,
ხოტბა შევასხათ გადამრჩენს!!
ჩვენი ვალია ვადიდოთ,
რომ იგი მარტო არ დარჩეს,
ლამაზ ქმნილებას, გაზრდილ ქალს,
ღიმილი მუდამ თან ახლდეს.

2019

## ჯემალ ჯავახიშვილს



შენ რომ მითხარი,
ის რომ გავიგო,
ტყვია ვიხალო
მიჯობს ძამიკო...

2015

## ცისანა ბელთაძეს

წავიკითხე მომეწონა,
აღარ ვარგა გვერდზე დგომა,
გაქებს- გადიდებს შენი კლასელი,
გვიან ნანახი ერთგული მონა.

2019



ცისანა ბელთაძე, ელგუჯა ადეიშვილი



## მოვლენა
{თამარ ფოფხაძეს}

როდესაც სამყაროს ძალუმად
აღიქვამ...
სიცოცხლე გრძელდება, ნანატრი სიზმარი,
და თუკი გულწრფელად იფიქრებ, ჩაუთქვამ,
ცხოვრება სასურველ მეგობარს გიგზავნის.
დამხმარეს, რომელიც მხნეობას განიჭებს,
საოცრად ერთგული, სუფთა და სანდოა...
ის კარგი დედაა... და კარგი მეუღლე
ბოროტთან შორსა დგას... უფალთან ახლოა.
ის ქალღმერთებიდან „მინერვა“-ს ასხივებს
ისეთი გულწრფელი, ისეთი უზადოა...
სიკეთე, სიმხნევე, არასდროს მოშლოდეს
უფლის მოვლენილი სინათლის წყაროა!

2020

## დალოცვა

{მარიამ ჯულაყიძეს}



პოეზიის მწვერვალს იპყრობს
მარიამი - ნიჭიერი,
ღმერთმა არ მოაკლოს შველა,
იყოს ასე მშვენიერი.
მამით ძლიერს, დედით მტკიცეს,
გზა გაეხსნას სიკეთისკენ,
დაძლიოს ყველა სირთულე -
ნაბიჯს დგამდეს დიდებისკენ.

2019

## ფაქტია...

{ამირან ადეიშვილს}



სულიერების ჩამწვდომი...
მოყვარული და გამგები...
კარგი ლექსების მოყვარე -
მკითხველი, არანაკლები.

ნიჭიერების გამგები,
კეთილკაცობას წვეული...
გვარში და საახლობლოში
კარგი და გამორჩეული.

მიეძღვნა ნიკო გომელაურის ლექსის
„მე რომ წავალ" გამოქვეყნებას.

2020

**აღმოჩენა**

{თათია გიორგაძეს}



მშვენიერების პიკს დაეუფლა,
მისთვის აენთო ცაში ლამპარი,
ახლა მიილტვის ვარსკვლავებისკენ,
ქალღმერთებიდან- „ათენა“ არის.
ჭკვიანს, გონიერს, ლაღს და მშვენიერს,
გზა დაელოცოს უფლისგან დიდი,
იაროს მუდამ წარმატებულად,
ცხოვრება ჰქონდეს საოცრად მშვიდი.

2020

# მრწამსი

{სოფიკო ბოლქვაძეს}



მსურს მეგობრული ლექსით
                                მოგმართო,
აღმოჩენა ხარ ყუმურის მთებში,
დიდი პატივით მოვისმენ ყველგან,
რომ მიზანსწრაფვა ბინადრობს შენში.
        გონიერებით შემკული ქალი
        მტკიცე სამყაროს შემქმნელი მშვიდი,
        ქალღმერთებიდან დიდი „ჰესტია“,
        თეკლა პირმშოა მომავლის ხიდი.
იმედისაგან იმედს ელიან,
სხვა რამ არა სწამს ჩვენს მშვიდ სოფიკოს,
მიზანი არის ზარდოს თაობა,
მისი იქნება, თუნდ სხვისი იყოს.
        უფალს შევთხოვოთ გაგვიძლიეროს
        მუდამ თან ჰქონდეს ცხოვრების ხიბლი,
        ირგვლივ სამყარო აყვავებული,
        შვილმომავლისთვის ცხოვრება დიდი.

2020

**ნათება**

{თამუნა ბჟალავას}



კეთილი გული, შემკული სული,
ზე-მგძნობიარე, ვითარც ბუმბული,
სამყარო იცის, მიდგომით მშვიდი,
ქალღმერთებიდან „ჰერა"-ა დიდი.
მიზან - მიმართულს თაყვანს ვცემთ რიდით,
ცაში ვარსკვლავებს, რომ წყვეტდეს ხიბლით,
ღმერთმა დალოცოს გააძლიეროს,
მუდამ ერგუნოს ცხოვრება მშვიდი.

2020

## რჩეული

{ნონა გიორგაძეს}



ლექსად ნათქვამი ხოტბა - დიდება,
ნონას ეკუთვნის როგორც ვედრება,
სიტყვის ოსტატი, კალმით მგოსანი,
ჩვენს გვერდით იშვა მანდილოსანი.
ნიჭიერების უშრეტი წყარო,
ახალგაზრდობა, ნონასგან სწავლობს,
დიდი აქვს ხედვა და სათნოება,
სწორედ ამისათვის უფალი სწყალობს,
ქალღმერთებიდან „სეშათი"არის,
ეგვიპტურ წარსულს იხსენებს, ხარობს.
მსოფლიოს ქალთა ანთოლოგიით
{დედამიწიდან - ვარსკვლავებამდე},
ადგილი ერგო რჩეულთა გვერდით,
ჩვენს მხარეს მუდამ ეამაყება,
ნონას აღმასვლა - მამით და დედით.



მომავალი ჰყავს საქები
ერთია, სჯობნის ათასებს
თორნიკეს წარმატებებით
ჩვენც ვამაყობთ და ვაფასებთ...

გზა დაულოცოს უფალმა
დიდების გზისკენ სავალი,
ჩვენს სტრიქონებში ჰყვაოდეს
ია და - იასამანი.

2020

**საოცარი**

{ნატო მეფარიშვილს}



ქალი ნათელი - როგორც სანთელი,
სულით ძლიერი და სხივნათელი,
ქალღმერთს ედრება - არსთა მშობელი,
დიდი „კიბილე“ - ამყვავებელი.
ქალი მშრომელი და ნიჭიერი,
სამყარო შექმნა ძალზე ძლიერი,
კალამს პატივს სცემს, ხედვა აქვს დიდი -
აზრები ფართო, მიდგომა მშვიდი.
დიდი იმედი და მეგობარი,
სიწმინდისაკენ მწვერვალზე მდგარი,
სიკეთეს თესავს ყოველ ნაბიჯზე,
უფალს თაყვანს სცემს - სულით შემდგარი.

ქალი ნათელი - როგორც სანთელი,
სულით ძლიერი და სხივნათელი,
ქალღმერთს ედრება - არსთა მშობელი,
დიდი „კიბილე“ - ამყვავებელი.

2020

**იდეალური**

{მაკა ადეიშვილი - სირომიატნიკოვას}



იშვიათი პიროვნება,
ანგელოზის სადარი,
საუცხოო თვისებებით,
საოცარი ნაზავით...
გარეგნობით მომხიბვლელი-
ქალი - შემკული მაგარი,
ერთგულების წყარო არის,
გონებით სხვაზე მაღალი.

ჩვენს სამყაროში აიდგა ფეხი,
შეიძინა განათლება,
მწვერვალების დასაპყრობად
სჭირდებოდა აღმა ფრენა.
თბილისში სწავლის პროცესში,
ვეღარ იკმარა - ჩვენი არენა,
გაიცნო კაცი- მომავლის ბურჯი,
ღირსების მქონე, თუმცა ... გარედან.
შექმნა ოჯახი, სწავლაც განაგრძო,
გზა გაუკვალეს შვილებს - მომავალს,
მეცნიერების სურვილს აყოლილს,
მიღწევები აქვს - ბევრს რომ არა აქვს.
მე სად ვიპოვო სიტყვა ძლიერი,
უფრო ვითარის - ის ღირსეული,
და თუ გამიგებს გულწრფელად ნათქვამს,
მაშინ ნამდვილად ვარ მისეული.
იშვიათი პიროვნება,
ანგელოზის სადარი,
საუცხოო თვისებებით,
საოცარი ნაზავით.

2020

**გამორჩეული**

{თანაკურსელ მეგობარს -

ლედი გოგოლაძეს}



ძალზე რჩეული,
ნამდვილი ბრენდი,
თუ გსურთ იცოდეთ
ესაა - ლედი.

მაღალ მწვერვალებს
იპყრობდა ნებით,
სიკეთით განვლო -
ცხოვრების გზები.

გვარსაც ამართლებს,
სახელს ხომ - ხვდებით,
დიდი ქალია -
ნახატი ლედი.

ჩაგრულის სტატუსს როცა წააწყდა,
შვილს ეხებოდა ერთობ დახატულს,
ვეღარ უშველა განწირულ გოგოს
მისი სულიდან უკვე დაკარგულს.

გინდა არ გინდა, უნდა იფიქრო -
გახდე ცხოვრების დიდი ამტანი,
სახელს დიდებას თუ დაივიწყებ,
ვეღარ გახდები ყოვლის გამტანი.
ძალზე რჩეული,
ნამდვილი ბრენდი,
თუ გსურთ იცოდეთ
ესაა - ლედი.

2020

# ჩემი უბანი
# და
# უბნელები

# ჩემი უბანი სოფელ ყუმურში



ძველს ვიხსენებ, ახალს ვხედავ,
ჩვენს კუთხეში რაღაც ხდება,
განვლილმა დრომ დამარწმუნა-
ძირძველი, რომ გვეკარგება

ღამის წყვდიადში ჩაფლული,
მიძინებული სახითა,
მოსჩანს ყუმურის ერთი ფრთა,
მიტოვებული - დარდითა.

სიმდიდრე ჰქონდა ხალხითა,
ერთ დროს ეს კუთხე ხარობდა,
ღრუბლები კლიმატს თუ ცვლიდა,
მზეც კაშკაშებდა-დარობდა.
პურ-ღვინოც იყო ულევი,
არავინ არვის შარობდა,
სიცოცხლე ჩქეფდა მის მთებში,
მადლიერებაც მრავლობდა.
დღესასწაულებს ხვდებოდნენ,
ყველა ოჯახი ჰყვაოდა,
ღმერთს იხსენებდნენ ყოველთვის,
იყო სტუმრისთვის მზაობა.
ჩანს, დრო ჩამკვდარა უმსგავსოდ,
დაცარიელდა უბნები,
აღარ მზადდება ღვინო ღვთიური,
თვალწინ გამოშრა - გაქრა ჭურები.



ყუმურთან, ღელის შენაკადს,
ტყუილად შესცქერის სხვებია,
ადეიშვილთა მოდგმისთვის
არსება მარად გრძელია,
ვიფხიზლოთ- მათ რომ ავუხსნათ!!!
აქ ყველაფერი „ჩვენია".

ირგვლივ პატივი მივაგოთ,
ჩვენს მეზობლებს და ძმებსაო,
ერთად ვიცხოვროთ გვერდი- გვერდ,
ხიდს აქეთ- ხიდს იქეთაო.
სიმართლეს თვალში ვუყუროთ,
დღე- დღე გვიქრება კერია,
ძილის დრო ნაღდად არა გვაქვს,
საქმე გვაქვს ძალზე ბევრია.
აზრებიდან მოვიშოროთ,
ჩვენში მჯდარი ცუდი ზნეო,
წელიწადში ერთხელ მოსვლით,
ვერ დაგვათბობს მწველი მზეო.
შვილ- მომავალს ჩავუნერგოთ
სიყვარული მძლეთა- მძლეო,
ქვათქედაში წამოსვლისთვის,
რიგში იდგნენ მთელი თვეო.
ნუ ვიფიქრებთ რომ გავყიდით,
წინაპრების ნაკვდავ- ნაშრომს,
რადგან მცირეს მოგვიგდებენ,
არ ეყოფათ მღრღნელებს სარჩოდ.

მამა- პაპისგან ბოძებულს,
მივხედოთ არე - მარესო,
ჩვენივე შრომა- გარჯითა,
დავუხვდეთ მტერ-მოყვარესო.

* * *

გინდა არ გინდა ვერ შევცვლით,
დროს უნდა ვენდოთ გამტანსა,
თურაშაულის პატრონნი
ტყეში ნუ ვეძებთ პანტასა.
ფუტკრის ადგილას მოდის კრაზანა,
ძველი ნადურიც სადღაც გამქრალა.
შენარჩუნებას უნდა სურვილი,
მონდომება და მებრძოლი სული,
რესურსიც არა, ხალხი დამწყდარა,
დავკარგეთ ხედვა, სადღაა ყანა.

* * *

არა!! გიორგი- თამარა
და კიდევ მათი ამალა,
სწავლული „ჟორა-გიორგი",
კეთილი საქმის -კამარა.

არც დარიკოა, არცა ბენია -
თინა, ჟატუა, ჟუჟუნა
და კიდევ ჩვენი ქსენია.
არსად ჩანს, მკაცრი-ეზეკი,
ბნელის მოშიში ნესტორი,
ქალთა ნამდვილი ელიტა-
გაიანე თუ ივლიტა,
მრავალშვილიან ოჯახებს
მუხლზე რომ ედგნენ დილიდან.
აღარ არიან ცოცხლები,
ჩვენი ირინე, ბარნაბი,
მართლაც ჭკვიანი მურთაზი,
შოთა და მათი ვახტანგი.
ჯვარიქედიდან იყო აქცია:
კონია- ელისაბედი, გრიშა, გურიკო- ფაცია.
ჩვენს უბანს რომ ამშვენებდნენ
ეს შენაძენი არ იყო?-
სათნო გოგუცა, გივი - დათიკო,
მართლაც ლამაზი-ქალი თამრიკო
და კიდევ ყველას მოსაგონარი,
ალიოშა და ოთარი.

ცხოვრებას ისე აკვლევდნენ,
არ ჭირდებოდათ ამქარი -
აკაკი, ჩიტო, ანტისო,
მართლაც ვაჟკაცი ბარნაბი.
მებრძოლი ჟორა- ირაკლი,
მხარბეჭიანი მასიკო,
იმათზე ძლიერი ხალხი,
აბა მითხარით სად იყო.
ვინ, დაივიწყებს კეთილ ხალხს-
ჯულიეტას და შალვასა,
სანდროს, გოლიას, ბუჭუას-
მედგარ თეოდოტს მართალსა-
მისი სახელის შემნახავს,
მართლაც ღირსეულ თამარსა.
მედიკოს, თინას, ქეთოს და
მრისხანე არიადნასა.
ბიქტორს, შოთას და ანეტას-
სიკეთის დიდოსტატსაო.
მიშას, ნოდარი ბელთაძეს,
თამარსა გულთმისანსაო.

„გარასახოვთან" მცხოვრებსა,
სერგოს და ბაბილინასა,
ვასილის სახლში აღზრდილებს,
ქალებს - ქეთოს და ლამარას,
ჯარიანობის მოთავეთ,
ცეკვა-გართობის ამალას.
იმ ქვეყნად ადრე წასული -
ამირან, ნოდარ, მაგული,
აღარ მოხერხდა გვენახა,
ხე მათ სახელზე დარგული.
მათი სულის სახსენებლად,
ვერ ვიკრიბებით ვერასდროს,
თუკი აღდგომა არ მოვა
ის ხალხი ვინმეს არ ახსოვს.
ფანდურის ხმა აღარ ისმის,
აგერ უკვე სამი წელი,
რაც ჟატუა გავაცილეთ,
აღარა ჩანს სხვა შემცვლელი.

* * *

აბა ხალხნო ჰერი, ჰერი -
ყველამ დაგვიდექით გვერდით,
ქალი, კაცი, დიდ-პატარა,
ჩვენი თემის გადამრჩენნი.
ყველამ მივიღოთ პირადად -
ტყე, ბაღი, სახლის ნაწილი,
ავაღორძინოთ ეს კუთხე
ახლიდან შევქმნათ გზა - ხსნილი.
ჯოხზე ტრიალით- ოფლის ღვრით,
ბუხართან გვეწვას გოჭები,
თონეში იბრაწებოდეს
თიკნები - ჭრელი დედლები.
საცივისათვის გვერჩიოს
ინდაურები ძველ-ძველი
და ამ ნობათის პოვნაზე
არ გვემტვრეოდეს გვერდები.

თავად შეგვექმნას დოვლათი,
სხვებს რომ მიჰქონდეთ გოდრებით,
ყუმურის ღვინოს სუფრასთან,
გვაწვდიდნენ გულ-გამეტებით.
გაიხარეთ!!

მუზა: 2017 წლის 22 აგვისტო. სტუმრებს
ველოდი ყუმურში და რა ვნახე- სოფელში
ქინძის ფოთოლიც რომ ვერ ვიშოვე...

2017

## უბნის გვრიტები


ლევან გიორგაძე, რობა თვალაბეიშვილი

ტყემლის „ვოტკის" მოლოდინში,
გრძნობებს კარგავენ გვრიტები,
გზაში ვინმე გამოუვლის
დანაყრდებიან ბიჭები.
... რობა - ლევანი, ლევანი - რობა,
დილიდან უნდათ ამ ლომებს „თრობა",
ამყოლებს ეძებს სუფრის მონები,
ზედიზედ ჩნდება დიდი დოქები.

2019

# მორიგი გამოხმაურება ყუმურს და სხვას !!!



ღმუის ხეობა, უკაცრიელი გახდა სოფელი,
მოიწევს ეშმა - თან მოჰყვება გზა ულმობელი,
ნადირი დაძრწის, ანადგურებს ცხოველს და
ფრინველს,
არ გაუკვირდეს ამის მომსმენს, წარვუდგენ
მხილველს.

როდემდე გასტანს დრომოჭმული
დღევანდელობა,
მითხარით ხალხო რად ვირგუნეთ, ეს
მავნებლობა.
ვის მხარეს დავრჩით, თან დავბრმავდით სადა
ერთობა,
სიძნელის კუთხით გავიხედოთ ... ყველა
გვენდობა.

სურვილი გაჩნდა, ჩვენს პატრონებს მივმართო
ერთი,
თხოვნას ლოცვებიც მივამატოთ... გვაღირსონ
ხვედრი,
გამოიჩინონ მოწყალება თუ გინდაც ერთგზის,
მიხედონ სოფელს და ამისთვის დალოცავს
ღმერთი.

წარსულის კვალი, ვეღარ შეცვლის
დღევანდელობას,
სულ სხვა მოთხოვნა დაგვიყენა ძველმა ევროპამ,
გვინდა არ გვინდა ვერ ავცდებით გზას და
დათბობას,
ბევრი ვეცადოთ, რომ მოვიყვანთ-
ახალგაზრდობას.

ღმუის ხეობა, „მარტო მთები" დარჩა სოფელი,
განვდევნოთ ეშმა, რომ შევცვალოთ ხალხით-
მომსვლელით,
არ მოვისვენოთ არ ჩამოვჭდეთ კეთილმყოფელი,
ვიპოვოთ ძალა - დააბრუნოს ყველა მშრომელი.

2019

# „ზავოდობა“ ყუმურში

„ზავოდობა“ - ზეიმად გვაქვს,
ჩვენი უბნის მკვიდრ მეზობლებს,
გვინდა, არ გვინდა ქეიფის პროცესს,
გულით მივანდობთ არყის მეხოტბეს.

მონაწილეთა სიას ამაგრებს,
პირველი რიგის არყის მონები,
„ვოტკის” ნაკადის წამოსვლის მიზნით,
უმალ იწვება შეშის მორები.

ზოგი ცდილობს ცხელი არყით,
სუფრის წყობა მოგაწონოს,
სანამ მწვადი მოვიდოდეს,
არ სურს, რამე მოგაწოდოს.



გზად გამვლელს უფრო იზიდავს,
„რახის" სუნი, თუ ლამპარი,
სამჯერ გადაკვრის პროცესში,
ცხოვრება ხდება ზღაპარი.




თავშეკავება ძნელია,
წამსვლელ- მომსვლელთა ბარბაცში,
თუ ვერ გათვალა, იცოდე,
ხშირად მოხვდება ნაცარში.





გოჩა ჭაფარიძე, ელგუჯა ადეიშვილი,
რობა თვალაბეიშვილი

მორიგ სეანსის ლოდინში,
ძალებს იკრებენ ლომები,
და პურმარილის მზადებას
იწყებენ ერთად მდგომები.

2014

# პანდემია

## კორონავირუსი
{უფლის გზავნილი}

სამყაროს შეცვლა ინდომეს,
არ იხსენებენ ღმერთს,
ეს არ გამოვა, ასე არ ხდება,
თავად ირჩევენ ბნელს.
უფალთან ბრძოლა რომ არ გამოვა,
სწავლება უნდა ბევრს,
სამყაროს შემქმნელს, ვერას დააკლებ,
იგი ეხება ღმერთს.
სხვის შექმნილს ეჭვით უყურებს,
ფეხქვეშ თელავენ - ერს,
რა უნდა ვუთხრათ, ვისთან ვარკვიოთ,
მისთვის დავეძებთ მხსნელს.
კაცობრიობას ღატაკს რომ ტოვებთ,
საიდან მოდის ეს?
პასუხს მოგთხოვენ, არ შეგარჩენენ,
ხვალ იქნება, თუ ზეგ!
დრო-ჟამი მიდის- ანგრევთ სამყაროს,
არ ეკითხებით ბრძენს,
თქვენ ისე ფიქრობთ, შეგრჩებათ იგი
და შეიწირავთ სხვებს.

ღმერთი არ ჩქარობს და ურმით დადის,
შორიდან გხედავთ ბრმებს,
არ გაპატიებთ ქვეყნის დაქცევას,
გირჩევთ იფიქროთ თქვენც.
არ შეცდეთ!! დროა შეხედოთ,
სამყარო მაინც ღმერთისა,
გადაიხადეთ მადლობა,
რომ ქვეყნის ნახვა გეღირსათ.
გინდათ გამჩენი ჩამოგვაშოროთ,
ბუნების მართვას - თავის წესი აქვს,
არ გაპატიებთ უფალი ამას,
ჩანს რომ ეშმაკის დიდი გესლი გაქვთ.
სულიერების ტაძრებს რომ თელავთ,
პასუხს მიიღებთ უზღვავს- საკადრისს,
კაცობრიობის მტრებს დაამიწებს,
ღმერთი უკვდავი- ღმერთი მაღალი.
უფალს ვთხოვთ - უმალ ისმინოს,
ადამიანთა ეს გასაჭირი,
მუჭანახევარ, ძირგამომთხრელებს,
არ მისცეს არსად - თავშესაფარი.

არ დააყოვნა გამჩენმა,
თავზე დაგვეცა თავზარი,
არ გვაპატია ურჩობა,
გვარგუნა მწარე ზამთარი.
ქვეყანას თავს მოეხვია,
ვერაგი ჭირი - კორონა,
ჩინეთში აღმოცენდა და
ხალხს მოუტანა მონობა.
ყველა კუთხეში გავრცელდა,
მძვინვარებს კიდით - კიდემდე,
აღარ სურს უკან დახევა -
მსოფლიოს არ აქვს სიმშვიდე.
სამყაროს შეცვლა ინდომეს,
არ იხსენებენ ღმერთს,
ეს არ გამოვა, ასე არ ხდება,
თავად ირჩევენ ბნელს.

2020

**ამერიკელი კონგრესმენის მიერ ლოცვის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.**

## მსოფლიო კორონავირუსს (COVID-19) ებრძვის

ეპიდემიის მიზეზით,
მთელი მსოფლიო აშლილა,
უფსკრულში მიდის, სიკეთე,
რაც რომ კაცისგან შექმნილა.
არ ჩანს იმედი - შეჩერებისა,
არც ოქრო - ვერცხლი შველის "ხაზინის",
ნათლად გამოჩნდა ჭირის გაქრობას,
სჭირდება ცოდნა უფლის ხარისხის.
ეკონომიკა დაღმართში მიდის,
კრიზისი შთანთქავს ყველა ქმნილებას.
წამყვან ქვეყნებში ვერ გაუმკლავდნენ,
ეპიდემიას ხალხის წამლეკავს,
პანიკის დიდი გამოძახილით,
წყდება სიცოცხლე ქუჩები არ გვაქვს.
იზრდება მსხვერპლი ადამის მოდგმის,
ზომის მიღება დროზე ვერ შედგა,
პრეპარატები, რაც ამ ჭირს შველის,
ქართულმა გენმა გამოიყენა.

მძიმე გასაჭირს ჩვენი ქვეყანა,
შეხვდა, გმირულად და შემართებით,
დედამიწაზე ყველა დარწმუნდა
გვყავს მედიკოსთა რაზმი შედეგით.
ამ ელიტას, განათლება
მიუღია ჩვენს მხარეში,
რამაც საფიქრალი მისცა
მთელ მსოფლიოს სწავლის წესში.
შედეგები გვაქვს სიკეთის,
ვინემ სხვა ქვეყნების გვესმის,
მცირე გვყავს დაღუპულები,
სახე ჩანს გამოსწორების.
ექიმთა რჩევით – კონსულტაციით,
ხელისუფლება ატარებს ზომებს,
შეწუხებულა დიდი – პატარა
დღედაღამ ელის ბრძოლის შედეგებს.

მადლიერებით უყურებს ხალხი,
ჭკვიან პრემიერს (**გიორგი გახარია**)
და მრავალ მებრძოლს,
ექიმთა მხრიდან, შეუპოვრები
**(ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე,**
**თენგიზ ცერცვაძე, მარინა ეზუგბაია,**
**მარინა ენდელაძე, ლევან რატიანი,**
**ეკა ნაფეტვარიძე, რევაზ მეჭურჭლიშვილი** ... )
შედეგს აღწევენ – ჭირის მოსვლიდან.
იმედს გვაძლევენ, რწმენას თესავენ,
რომ გადავრჩებით მძიმე სენისგან,
მედიკოსების უზადო შრომით,
მალე გამოვალთ ბრძოლის ველიდან.
ეპიდემიის მოსპობით
მსოფლიიო რომ დამშვიდდება,
ყველა გაიგებს ჭირის გაქრობას
ბრძნული ქართული გარჯა სჭირდება.

2020

# მიძღვნა მეორე „სააზლობლო“

**მამაჩემი**

{შალვა {ვოლნა} ადეიშვილი}



კაცი იყო მართლაც დიდი,
ხალხის თვალში მეტად მშვიდი,
მტერ-მოყვარის გვერდში მდგომი,
ყველას სიყვარულის მდომი.

კოლორიტად ითვლებოდა,
ხალხში თესდა პურს და ღვინოს,
სოფელს თავს დასტრიალებდა,
ვითა ქორი და მიმინო.

შექმნა ცხოვრება, რაც შესძლო,
თავის ოფლითა და გარჯით,
ეცადა, არ დაეტოვა
ცოლ-შვილს გადუხდელი ხარჯი.

თაყვანსა სცემდა მეუღლეს,
შვილებს, ახლობლებს,
მეზობლებს,
წინაპრებს არ ივიწყებდა -
რუსთაველსა და ეზოპეს.



მკურნალს პატივს მიაგებდა,
ვით ხელთუქმნელ საოცრებას,
და უნთებდა თაფლის სანთელს,
მათ ნიჭსა და მათ ოცნებას.

2019

## დედაჩემი

{ჯულიეტა თვალაბეიშვილი}



ქალი იყო ღვთისნიერი,
მორწმუნე და გონიერი,
სიმართლისთვის ფეხზე მდგომი,
რომ იტყვიან ზომიერი.
ოჯახს, შვილებს და ახლობლებს,
გულით უძღვნა ყველაფერი,
ჯიშ- ჯილაგით დალოცვილი,
ფესვი ჰქონდა მას ძლიერი.

დიდებული მოაზროვნე,
ხალხში „ჭეშმარიტი" მთქმელი,
არ ეშინოდა სიმართლის,
არ ეხვია თავზე მტერი.


ავტორის დედის ხელით ჩამოქნილი სანთელი

და უნთებდა თაფლის სანთელს,
მაცხოვარს და ყველა წმინდანს,
ღრმად იცოდა, რაც ხდებოდა,
წარსულში, თუ აწმყო გინდა.

იხსენებდა განვლილ ამბებს,
ზედმიწევნით მართლაც წმინდად,
არ უშვებდა შეცდომებს და
საქმეს ალაგებდა მშვიდად.
ფლობდა ძალზე მრავალ თემას,
ახლანდელ თუ გასულ დროში,
მას შეეძლო ამოეცნო,
ვინ ილტვოდა საქმის მოშლით.
მისი ნათქვამის საეჭვოდ
არასდროს იდგა საკითხი,
უტყუარ მონათხრობების
ვერავინ იყო გამკითხი.

ვისაც სურდა, აღედგინა,
მივიწყებულ რამე- ამბის,
მას შეეძლო გახსენება
ნებისმიერ უცნობ ფაქტის.
მისგან იმედიან სიტყვით,
გიქრებოდა ყველა დარდი,
მოაზროვნე დამრიგებელს,
რჩევა ჰქონდა ძალზე კარგი.
ქცევის კუთხით თუ იკითხავ,
მის დარიგებას სულ ახლდა ზარი,
უმალ არკვევდი, რომ ამ ყველაფერს,
აღარ გააჩნდა არც ერთი ბზარი.
მისგან დამოძღვრა ყოველთვის იყო,
მედგარ, ბრძენ- ქალთან უხდელი ვალი,
ძლიერი იყო მტერ-მოყვარესთან,
სიტყვა იცოდა მოქნილი - კარგი,
ვინც კი უსმენდა, დარწმუნდებოდა,
მუდამჟამს იყო ყოველმხრივ მარგი.

არ იშურებდა ზრუნვას შვილებზე,
მას გვერდით ედგა ბრწყინვალე ქმარი,
შალვასთან ერთად, ოთხ პირმშოს ზრდიდა
{ლუიზა, თემური, ელგუჯა, ნუნუ}
მათ მიუჩინეს თავშესაფარი.
მრავალ მონაგარს გულით ელოდნენ,
ქვეყნად არ ჰყავდათ მათი სადარი.

* * *

(იყო ფაქტი და რეალობა)

ერთ ოჯახში შეხვედრის დროს,
ხალხში გაჩნდა კითხვა ასი,
ხანდაზმული მეზობელის,
ქვეყნად ყოფნის - ზუსტი ახსნის.
მეტისმეტი ბახუსისგან,
ვერ არკვევდნენ ფერში ნარინჯს,
რადგან საქმე ეხებოდა,
კაცის მოსვლა-წასვლის თარიღს.

სანაძლეო დადო მხარემ,
გაერკვიათ, რაც მათ სურდათ,
რეალობის დასადგენად
მცოდნე მოეწვიათ უნდა.
დასმულ კითხვას, მისხალ-მისხალ,
უპასუხა ჯულიეტამ,
ბოლოს ისიც დაამატა,
მზე იყო თუ ძლიერ წვიმდა,
მთვარის ჯერადობის ირგვლივ,
ისაუბრა როგორც იდგა.
ოთხმოცდაათს მიღწეულის,
ეჭვად ჩაითვალა თქმული,
არქივების გადაქექვით,
ცნობა რომ ჰქონოდათ სრული.
იცით, დავთარში რა ჩანდა?
ყველა დამსწრის გასაკვირად...
იმ კაცის მოსვლა-წასვლაზე
არ დაემთხვა ერთი წმინდად,
ჯულიეტას ნათქვამიდან
ამინდმა თქვა, ვერ ვარ წიგნად...

მხარემან დავა აგრძელეს,
რისთვის არ ითქვა, ზუსტია ?!
საბჭოს მთავარმა- ჯამბულიმ,
საქმე განმარტა სრულიად.
    დავთარში ამინდის ნახვა!?
    ვერ მოხდა სხვა მიზეზითა,
    რადგანაც ასეთ ჩანაწერს,
    წიგნი არა ცნობს წესითა.
    მთვარის დადგომის შესახებ?? ...
როცა გაერკვნენ, დარწმუნდნენ,
სუფრასთან საქმის გამრჩევნი,
რა ექნათ, ვერ აირიდეს
სიმართლე გულის ამრევი,
აღფრთოვანებით დალოცეს
„ჯულია", დავის გამრკვევი.
    ამ საქმის, ნაღდი შემსწრეა,
    საბჭოს კანცლერი ციური,
    ყველა დალოცოს უფალმა
    გონებაც ჰქონდეთ- ღვთიური!




ქალი იყო ღვთისნიერი,
მორწმუნე და გონიერი,
სიმართლისთვის ფეხზე მდგომი,
რომ იტყვიან ზომიერი.

2017

**გუგულა თვალაბეიშვილს**
{ჩემს დეიდას}



ქალი იყო უხმაურო,
უწყინარი- მზის სადარი,
მისი მსგავსი ქვეყანაზე
ყველამ იცის, არსად არის.
ცხოვრებაში ენამოკლე,
თავის საქმის გამრჯე ქალი,
სხვის საქმეს არ გაკილავდა,
რომ მიგეცა ნატვრისთვალი.




შვილი იყო კარგი ხალხის,
ბიქტორის და ანიჩკასი,
პატიოსნების სიმბოლო,
ცოლი გახდა - კოლიასი.

ოჯახი შექმნა ბრწყინვალე,
ას ნაბიჯში მშობლებისგან,
სამი ტყუპი გააჩინა,
ერთი შერჩა იმ სამისგან.

ოთხი შვილი გაუზარდა,
გიორგაძეების მოდგმას,
არავისთან იყვნენ უბრად,
პატიოსნებს ასე მოსდგამთ.

კოლიამ მუდამ ატარა
ვაჟკაცი კაცის სახელი,
პურმარილს რომ გაგიშლიდა,
არ გქონდა წასვლის საშველი.

მუხთალმა დრომ უღალატა,
უთქმელი დარჩა რამდენი,
გუგულას - პატარა ლევანს,
ხელში დაუდნათ სანთელი.

მძიმე ცხოვრების დაუდგათ ჟამი,
არ შეერცხვინათ- სახელი, გვარი,
იწყეს აღმასვლა შესანიშნავად,
ოჯახის უღელს შეება ქალი.
პატიოსნების განსახიერება,
მორიდებული თითქოს უკვდავი,
არვის ეგონა მის წასაყვანად,
თუ მოვიდოდა სულთამხუთავი.
არ გთხოვდა დახმარების ხელს,
გვერდს აგივლიდა მალული ფორმით,
უმალ იგრძნობდი მის გაჭირვებას,
ვერ ისვენებდი უმიზნო დგომით.
სოფელში ტაძრის შენებას
ის შეხვდა რწმენით აღსავსე,
უვლიდა მუშა - ძალას და
კვებავდა სტუმრებს მრავალ წელს.




ქალი იყო უხმაურო,
უწყინარი – მზის სადარი,
მისი მსგავსი ქვეყანაზე,
მე მგონია, არსად არის.

2013

## თინათინ გეგეშიძეს

{ჩემს მეუღლეს}



პირველად რომ დავინახე,
გამაკვირვა მრავალგზის,
ვერ შევძელი, რომ ამეხსნა
ჩანაფიქრი რაღაცის.
საშინაო გარემოში,
სახე ჰქონდა ხალასი,
შევხედე და გავიფიქრე,
ვინ არს ასე ლამაზი.
ტან-ფეხი აქვს შემკობილი,
სახე-თვალი ნახატი,
ტანთ აცვია სუპერ რაღაც,
თმებიც სულ მთლად წარმტაცი.
სათნოებით მოვიხიბლე,
ვეღარ ვაშორებდი მზერას
და ვფიქრობდი – ნეტავ როდის,
დაამშვენებს ის ჩემს კერას.
ფეხზე დგომამ რომ მომხიბლა,
მიმზიდველმა ტანმაცა,
გადავწყვიტე, ვეამბორო
ლამაზ ხელზე მართლაცა.

განცდა მქონდა, ვერ ვკადრებდი
მოფერებას რადგანაც,
გვერდით იდგა ის დედასთან,
ანგელოზი „ამლესი",
კონტაქტში არ შემოდის,
ვერ შევბედე ალერსი.
ენაძუნწობს, არ საუბრობს,
რა იქნება ხვალე,
დრო მიფრინავს ერთად ყოფნის,
მზერას რჩება მალე.



კარგად ხვდება ჩემი განცდა
იყო ძალზე მწარე,
წყლის მოტანაც დავავალეთ
შეასრულა მალე.

დავასრულეთ ერთურთ ყოფნა
და მივდივარ, ვტოვებ,
აღარაფერს აღარ ვამბობ,
როდის დავტეხ რტოებს.
სამყაროდან გამოვედი,
გზას ვაგრძელებ ბეწვის ხიდით,
თანაც ბევრჯერ შემოვხედე
შემპარავი, რაღაც რიდით.




ვერ ავხსენი, რა მინდოდა,
ძალზედ ავირიე ფიქრით,
რადგან მივხვდი, უკვე ჩემში
მართლაც შემოფრინდა ჩიტი.
სული მიმდის მოლოდინში,
როდის ვნახო ჩემი გვრიტი,
ამის შემდეგ თუ რა მოხდა,
აღარ ძალმიძს, არას ვიტყვი.

1978

**დოდო (იზოლდა) ადეიშვილს**
{ჩემს ბიძაშვილს}



იანვარში შენაძენით
ათვლა დაიწყო ათასი,
თამარსა და თეოდოტის
ქალი ეყოლათ ხალასი.
მამამ ირჩია გზა ვაჟკაცური,
ომში წავიდა - ვეღარ დაბრუნდა,
დედამ იტვირთა პატარას გაზრდა,
წინსვლის იმედი თითქოს გაცრუვდა.

## ელგუჯა ადეიშვილი

მძიმე ცხოვრების დაძლევის,
გზა იყო რთული სავალი,
მიზნების მიღწევისათვის -
სწავლაცა... გამოსავალი.

გამრჯე დედის მზრუნველობით,
ქალი გახდა მართლაც - დიდი,
ახლობლების გვერდში მდგომი,
დამხმარე და მყარი ხიდი.


დოდო მეუღლესთან,
ნოდარ ბაკურაძესთან და
შვილთაშვილთან ერთად

შექმნა ქართული ოჯახი,
ქმარი ირჩია ნოდარი,
ძლევამოსილი კაცი და-
ერთგული მონაპოვარი.

პირმშო ეყოლაათ პაატა -
კაცი ზრდილი და მართალი,
ცოლად შეირთო ინეზა -
ქალი ბროლისგან ნათალი.

დამრიგებლის პოზიციით,
მთელი ცხოვრება ატარა,
მეცნიერების მწვერვალზე
შეძლო ალამის ატანა.

ხასიათით ვაჟკაცური,
მიხვრა-მოხვრა თან ქართული,
ჯიშ - ჯილაგით ამაყი და
და მომხვდურთან შემართული.
ღმერთმა დალოცოს დოდოს ოჯახი,
მუდამ იცოცხლონ ამ ქვეყანაზე,
მე თუ რაღაცა შევძელი კარგი -
ეს ხალხი იყვნენ შენების ხაზზე.

2019

**ლუიზა ადეიშვილს**
{ჩემს დას}



წმინდა ოჯახს დეკემბერში
მოევლინათ გაზაფხული,
ქალი, დაკვეთის გარეშე,
შეეძინათ არნახული.

იზრდებოდა მზრუნველობით,
გარემოცვით ოჯახური,
გაიზარდა ნიჭიერი -
გზა უჩანდა შესაშური.

სტუდენტობის პერიოდში,
წააწყდა ახლო ნათესავს,
ამ რეგვენმა გადაწყვიტა
ცოლად შეერთო უცხო კაცს.

ბედმა მთლად არ გაუმართლა,
ადრე შეება უღელში,
ბოლომდე სწავლას ჩამორჩა
დარჩა ოჯახურ ბუდეში.

შვილები ზარდა ბრწყინვალე -
აზა, ირმა და ირინა
ამათ აღზრდაში ოჯახმა
მსოფლიო შემოირბინა.

ბოლოს ცხოვრება გართულდა,
ცალ მხარეს დარჩა უღელი,
მძიმე ინვალიდ მეუღლეს
შველა დასჭირდა ულევი.

ყველაფერს უნდა ატანა,
ცხოვრებას კიდევ გატანა -
ლუიზამ ბევრ ტვირთს გაუძლო,
რამაც ხანგრძლივად გასტანა.
წმინდა ოჯახს დეკემბერში
მოევლინა სიხარული,
ამ ქალმა დიდხანს იცოცხლოს,
გაუხაროს ყველას გული.

2019

**თემურ ადეიშვილს!**
{ჩემს ძმას}



სუფრას უზის დღე და ღამე
და მიირთმევს პურს და
ღვინოს,
მიუშვით, ნუ შეაწუხებთ,
იხაროს და იღიღინოს.

... „ცისიერზე" რომ იღვიძებს,
ღვინო აქვს გადასაქაჩი,
ცხოვრება ლხინში ატარა,
ირგო წოდება „მთა-კაცის".
ქეიფში გოჭი არ ყოფნის,
არაფერს ვამბობთ დედალზე,
სუფრიდან ახალ აყრილებს,
უმალ მოიყვანს მადაზე.
ხელს უწყობს, „ლალი" იკვებოს,
დილიდან დარბის ბაზარზე,
საცივს რომ დედას უტირებს,
ელარჯს უმატებს ნაშუადღევს.
ღვინოს ქაჩავდა სამ ლიტრას,
ბოლოს ოთხამდეც გაზარდეს,
სტუმარი როცა შემოდის,
ხუთსაც ეძახის არაფერს.




რქაწითელს ტონას რომ წურავს,
მაშინ ეძლევა განსაცდელს,
სულ ფიქრობს, რა ეშველება,
უღვინოდ რჩება ახალ წელს.

ამაზე მეტი რაღა ქნას?
ვისა აქვს რამე სათქმელი!
უფალი არ დაივიწყოს,
ხშირად აუნთოს სანთელი.
დიდხანს ცხოვრებას ვუსურვებ,
რომ გახდეს ყოვლისმპყრობელი,
იფიქროს გვერდში მდგომებზე
და დააფასოს მშობლები.

2019

**ნუნუ ადეიშვილს**
{ჩემს დას}



დაბადების დღეს ვულოცავ -
ნუნუკას ენაწყლიანსა,
სიტყვას - სიტყვაში აჭედებს,
გულსაც გაგიხსნის მთლიანსა.
რჩევას მოგცემს თუ მოუსმეხ,
სურვილსაც - გულუხვიანსა,
გვერდში დგომით გაგაოცებს,
არ მოგაკარებს ნიავსა.

… ანდიოთვას მოგაგონებს,
ძველ მთქმელსა - ბარაქიანსა,
მსოფლიოში რაც კი ხდება,
ნუნუკამ იცის მთლიანად.
წამში ისმენს ქვეყნის ამბავს,
ბრწყინვალედ - ხარისხიანად,
არ გეგონოს, ცდება სადმე,
ის არის ხალისიანად.
დაბადების დღეს ვულოცავ -
ნუნუკას ენაწყლიანსა,
ასი წელი კიდევ გვყავდეს
და მუდამ კრეფდეს იასა!!

2019

**ჩემს დებს – ლუიზას და ნუნუს**



ემსახუროთ ქვეყნად
პატიოსნებას,
ამას უნდა უმადლოდეთ
ბევრს,
ნუ იფიქრებთ, ფინალში
ხართ ცხოვრების,
სამუდამოდ გაგიმაგრებთ
გვერდს.
ამაყობენ თქვენი დიდი ქალობით,
მომისმინეთ, კიდევ გეტყვით ერთს,
სურვილი გვაქვს, სახელოვნად
იცხოვროთ,
არ მოსწყინდეთ მომავალს და ღმერთს.

2019

## შვილებს

{კოტეს, შალვას}




შვილ – მომავალი დიდი
იმედი,
ბევრი ფიქრიდან ჩიხში
მიჟედი,
დარდით ირევი, თუ არ გყავს იგი,
და თუ გყავს კიდევ - ვეღარ ხარ მშვიდი.
ცხოვრების ახსნას სჭირდება ხიდი,
დიდი განსჯისგან შეგრჩება რიდი,
თუ დაგვიანდა მიზეზის ძებნა,
მაშინ მოგიწევს უფალთან ხვეწნა.
ყმაწვილ –კაცობის დრო სანატრელი,
გონებას უტევს ვითარც მშობელი,
აღვირის ახსნა, თუკი მოასწრო,
დასრულდა თემა – საქმემ მოგასწრო.
დღედაღამ ვლოცავ მე ჩემს ვაჟკაცებს
და ღმერთსაც შევთხოვ, საქმით
ამაღლდნენ,
ჰქონდეთ სახელი წარმატებული,
შრომით, კაცობით, ჩანდნენ ხვალ და ზეგ.

იყვნენ მარადჟამს ღირსეულები,
არ შეარყიონ მშობლის გულები,
უნდა არჩევდნენ მტერს და მოყვარეს,
დიდ პატივს სცემდნენ უფალს - მოწყალეს.




ღმერთმა სიმრავლე - ბედნიერება,
არ მოუშალოთ არასდროს,
უფლისგან დალოცვილებმა,
მტრები არასდროს ახარონ.

{მუდმივ რეჟიმში}.

## ჩ ე მ პ ი ო ნ ი

{ხათუნა ბაკურაძეს}




უნარ - ჩვევა დიდი დოზით,
უფალს მიუცია მისთვის,
აკადემიებში სწავლით,
არ სჭირდება ბიძგი სხვისი.

ქართულ კედლებში სწავლას რომ
მორჩა,
იგი განაგრძო ცნობილ ქვეყნებში,
საკონდიტრო ხელოვნებას,
არ უტოვებს ვინმეს ხელში.
შედეგმაც არ დააყოვნა
და მიაღწია საწადელს,
ხელთ იგდო დიდი სახელი,
იქეთ აკეთებს სასწავლებს.
სადესერტო ხელოვნების
მოწყობილ გამოფენაში,
უამრავს რომ არ ჩამორჩა,
ეს ვიხილეთ ევროპაში.
ნიჭიერი, საქმის მცოდნე,
მიიწვიეს საფრანგეთში,
ქართულ სახედ მოგვევლინა-
მსოფლიოო ჩემპიონატში.
ექვსეულში დაიმკვიდრა,
სახელი და დიდება,
ჩვენს ქვეყნიდან ერთადერთმა,
შეძლო დონის მიგნება.

სილამაზით შემკობილი,
იბრძვის დიდი ცხოვრებისთვის,
ღმერთმა წარმატება მისცეს,
კოტესა და ორ შვილისთვის.
უნარ-ჩვევა დიდი ზომით,
უფალს მიუცია მისთვის,
აღმა ევლოს ცხოვრებაში,
არ დასჭირდეს სხვისი ბიძგი.



2020

## გიორგი ადეიშვილს



ბიჭი - ნანატრი დიდი ხნის,
შენაძენია ივლისის,
ის ღმერთმა გვისახსოვრა თუ,
ვინმემ გვაჩუქა - ვინ იცის!?
კაცი გვეზრდება მძლეთამძლე,
სულით ძლიერი, მაგარი,
ადეიშვილთა მოდგმაში,
არავინ არ ჰყავს სადარი.

ნიჭიერებით შემკული,
ოდნავაც კიდე ზარმაცი,
თუ მოინდომებს აღმასვლას,
ვეღარ აჯობებს ცხრა კაცი.
გულკეთილი და ამაყი,
ღირსების დიდი დამცავი,
თუკი ოდესმე დასჭირდა,
ვერ შეაჩერებს საცავი.
ლომი გვაჩუქა უფალმა,
დიდი კაცების სადარი,
წინაპრებისგან მიიღო,
ალალი გული - მაგარი.

2019

**აზა კირკიტაძეს**
{ჩემს დისშვილს}



ჯულიეტამ მარტის თვეში,
ხილვა ნახა საოცარი,
ლუიზას ეყოლებოდა -
ქალი მართლაც მზის სადარი.

მოგვევლინა, გაგვახარა,
პირველ მერცხლად წოდებულმა,
სუფრები და მილოცვები
უხვად იყო გადაბმულად.
იზრდებოდა თეთრი გოგო,
მართლაც საოცარი კარგი,
საფიცარი სხვა არ გვყავდა,
არსად იყო მისი დარი.
თეთრ ხალათში ბაბუს ცქერამ,
იმოქმედა ბავშვის მიმართ,
სულ პატარამ გამოხატა -
ექიმობა ჰქონდა მიზნად.
მან შედეგის მისაღწევად,
სწავლა იწყო დიდი ხიბლით,
არ უღალატა ოცნებას,
დაასრულა იგი წინსვლით.



ჰიპოკრატეს ფიცის გარდა,
იცავს ბაბუ შალვას პრინციპს,
ექიმია სასახელო,
მის შესახებ ყველამ იცის...
შეეძინა გოგო ანა,
ქვეყნად ვის ჰყავს იმისთანა?!

მიხარია... გვიხარია,
შალვას გენი „მართალია“,
მისი გამგრძელებელი,
მითუმეტეს რომ ქალია.

2019

**ირმა კირკიტაძეს**
{ჩემს დისშვილს}



აპრილმა შემოგვანათა,
ქალი გვეყოლა ალმასი,
ბიჭს რომ ელოდა ოჯახი,
ფიქრი გაცრუვდა - ათასი.
მადლობა უფალს, გვაჩუქა,
სრულყოფილი და ლამაზი,
გონიერებით აღსავსე,
მოჭარბებული- ხალასი.

წამოიზარდა გამაღლდა,
ჩამოყალიბდა ნახატი,
დამჯერე- ჭკუით აღსავსე,
კარგი მომავლის გარანტი.
შექმნა ბრწყინვალე ოჯახი,
გვერდში გიორგი დაუდგა,
ცხოვრება გაახალისეს,
ოჯახს სხვა მეტი- რა უნდა.
გაზარდეს ორი მერცხალი -
ცოტნე და თიკა ბრწყინვალე-
გზა დაულოცოთ უფალმა,
უბოძოს ოქროს მდინარე.
აპრილმა შემოგვანათა,
ქალი გვაჩუქა ხალასი,
ღმერთმა დალოცოს „ძლიერი"-
სიკეთე ჰქონდეს ათასი.

2019

**ირინა კირკიტაძეს**
{ჩემს დისშვილს}



აგვისტოს თვეში ველოდით,
ვიცოდით „ქალი“ რომ იყო,
სამყაროს ნახვის სურვილმა,
ივნისში კარი გაგვიღო.

ქალი ლამაზი, ქალი უბადლო,
ყველა მნახველი ღიმილს აფრქვევდა,
ორი დის ფრთებქვეშ რომ იზრდებოდა,
სიყვარულსა და სითბოს იღებდა.

ვუსურვებ, იყოს დღეგრძელი,
ამ ქვეყნად მტკიცედ მარები,
გამრავლდეს და გაძლიერდეს,
უციმციმებდეს თვალები.

გონიერების ბაზაზე,
შეექმნას მძლავრი კერია,
გზების შერჩევით, ძლიერი ხედვით,
არ გაახაროს ირგვლივ მტერია.

2019

**თინათინ ადეიშვილს**
{ჩემს შვილიშვილს}



ივლისის თვემ გაგვახარა,
გვისაჩუქრა ფერია,
მადლობა ღმერთს, შეგვეძინა -
თიკა მშვენიერია.
უჩვეულო სილამაზის -
დაელოცოს დღენია,
გაიზარდა, დაიხვეწა,
იგი ერთადერთია.
საოცარი ნიჭიერი
ფიქრობთ მსგავსი ბევრია?
არ გეგონოთ ხატვის ნიჭი
გადამდები სენია,
ჯიშ-ჯილაგს, რომ წარმოადგენს
ანგელოზი ჩვენია.




შემკულია თვისებებით,
დახვეწილი გედია,
არ მოაკლდეს მაღლა ფრენა,
დაელოცოს ბედია.

2019

## სანდრო ადეიშვილს
{ჩემს შვილიშვილს}



უკვე დიდია ეს ჩვენი სანდრო,
ვიძენ უფლებას, აღარ
ვიდარდო,
მისთვის კაშკაშებს მომავლის ხაზი,
მართლაც აღმასვლის იწყება აზრი.
ჭკუით, გონებით მართლაც ძლიერი,
მასთან ახლოა თვალსაწიერი,
სწავლობს - ეცნობა ყველა სიკეთეს
უფალი მისთვის ბევრს გაიმეტებს.
მართლაც - ბეჯითი, შეუპოვარი,
პუნქტუალური, კონტაქტიანი,
ყველა საქმეში უმალ ერკვევა,
თან მუდამ არის ენაწყლიანი.


ავტორი შვილიშვილებთან - სანდრო. და
გეგა ადეიშვილებთან ერთად

მისთვის სიძნელე ჯერ არ არსებობს,
ცდილობს, გამართოს საქმე - მიზანი,
ქულებს აგროვებს დიდ კაცობისთვის,
აბა, მითხარით- კაცი ვინ არი!?

2019



**გეგა ადეიშვილს**
{ჩემს შვილიშვილს}

გეგა ჭკვიანი- მხაბეჭიანი,
ძლიერი კაცი აზრით - ფხიანი,
ყველას პატივს სცემს
თავგამოდებით,
მისთვის არასდროს არის გვიანი.
სწავლობს კაცობას, რომ გამოვიდეს
ცხოვრების გამძლე ადამიანი,
თვლის, რომ არ იყოს ჩამორჩენილი,
მიზანდასახულს დღე აქვს მზიანი.

კაცური გულით დღედაღამ იღწვის,
გახდეს უძლევი ადამიანი,
საქმე აკეთოს მისი კუთვნილი,
არ მიაყენოს ვინმეს ზიანი.
სურს, დაეუფლოს რაგბის სამყაროს,
თან აისრულოს დიდი მიზანი,
მიღწევებით რომ მაღალი გახდეს,
ფასობდეს, როგორც სახელიანი.
ირჩევს, იაროს მებრძოლი
სულით,



იყოს კეთილი - ძალზე ჭკვიანი,
მშობლებს უსმინოს, რომ
გამოიცნოს,
ადამიანში- ადამიანი.

2019

**ანდრია ადეიშვილს**

{ჩემს შვილიშვილს}



ანგელოზი ანდრია
დღეს ყველაზე მარდია,
დაბადებას ვულოცავთ,
ექვსის გახდა კაცია.

ბაღის ტოლებთან ერთობა,
ზეიმი აქვს სახლშიაც,
იგი თავს ბედნიერად თვლის,
მცხეთობაც აქვს... კარგია,
უფლის კალთა ფარავდეს,
აღარ ჰქონდეს დარდია.




...ანგელოზი ანდრია
დღეს ყველაზე კარგია,
როცა ზეიმს მორჩება,
მცხეთას მიჰყავს ხალხია.

2019

## ცოტნე ყველაშვილს

{ჩემი დისშვილი- ირმას პირმშო}



ცოტნეს მოფრენა ამ ქვეყნად,
სიზმრად ვიხილე წინასწარ,
მზადების გეგმა დავსახე,
მკადრეს - გვითხარი...ვინა ხარ!

გავგზავნე თელეთს დამხმარე ძალა,
ღამის სირთულის დაძლევის მიზნით,
გამართლდა ხილვა წინასწარი და,
ბიჭი გვაჩუქა უფალმა დილით.

ვფიქრობ, რომ ხილვა არ იყო ისე,
ამას დასცქერის ზემოდან ქრისტე,
მადლს არ დააკლებს, ფრთებსაც შეასხამს,
მაღალ გასაქანს- მიარგებს კიდეც.

მის წარმატებებს თვალყურს ვადევნებ,
ოკეანეთში- შორეთში, გარე,
იმედს გამოვთქვამ, ცოტნე „მიაღწევს"....
და დაუფასებს მშობელი მხარე.

2019

**თიკა ყველაშვილს**

{ჩემი დისშვილის -

ირმას ქალიშვილი}



ოჯახში გაჩნდა მზეთუნახავი,
ბედნიერების გაიხსნა კარი,
თიკამ შეცვალა მყუდრო გარემო,
აღმავლობისკენ იწყო ნარ-ნარი.

არ ვფიქრობთ... მარტო, რომ ლამაზია,
უჭკვიანესიც გამოდგა ქალი,
სურვილს გაგიჩენს, ყველა ოჯახში
ასეთი იყოს მართლაც მრავალი.

ცოდნას იმაღლებს ცხრამთას გადაღმა,
გზა აირჩია უსაზღვროდ კარგი,
მომავლის გეგმას ალღო აუღო,
მშობლებს მიუძღვნა ია და ვარდი.

ოჯახში გაჩნდა მზეთუნახავი,
ბედნიერების გახსნა საზღვარი,
ირმას, გიორგის- ბედნიერება,
კარგი ცხოვრება - როგორც ზღაპარი.

2019

**ანა საღარაძეს**
{ჩემი დისშვილის -
აზას ქალიშვილი}



ანა არის აზას პირმშო
და ლუიზას- მზის სადარი,
ამისთანა ანგელოზი,
ვფიქრობ, ქვეყნად არსად არის.
ანა ატარებს "მართალი"-ს სახელს,
სიმართლე იყოს მისი მეგზური,
მწამს, გაიზრდება შესანიშნავი,
კარგი იქნება, აღარ ვემდურით.
ცოდნას იღებს, არ იზარებს,
ბეჯითი და გამრჯეა,
ღვთის წყალობა არ მოაკლდეს,
რადგან ასე მარჯვეა.
გაიზარდოს საამაყო,
ჭკვიანი და ფხიანი,
ცხოვრების გზა მუდამ ჰქონდეს,
ძალზე სამართლიანი.




ანა - ნუნუ ბებოს გული,
სიცოცხლე და აზრია,
ნაზი, ლაღი, მშვიდი, სხარტი
და უზადო ბავშვია.

2019

## ლევან გიორგაძეს



კაცი კეთილი, კაცი ალალი,
თუ ვერ გაუგებ, ხდება მტარვალი,
საქმე ესმის - ეზარება,
ჭიქა სასმელს ეტანება.
არ დაუშავებს ვინმეს არაფერს
და არც შეარჩენს მომხვდურს სხვა რამეს,
მეგობრული და გამგები არის -
არ ეძიება სხვაში დანარჩენს.
დღეს არ გაუშვებს სუფრის გარეშე,
"ჭიჭიკიჩს" ეძებს ხშირად შარაზე,
შეიკრიბება ეს ღვიძლი ხალხი,
საქმეს არჩევენ ყველა მხარეზე.

ცხოვრების დარდი ნაკლებ აწუხებს,
დღეს რომ ასეა - რა იქნება ზეგ,
წყნარად მიყვება ვიწრო ბილიკებს,
ამბებს გიყვება ახალსა და ძველს.

სამსახურში არ ცნობს უფროსს,
ცდილობს, წესრიგი თავად ასწავლოს,
ჩაძინებულს რომ ნახავენ ვაჟკაცს,
ბრაზით შეუტევს იქით საბრალოს.

კაცი კეთილი, კაცი ალალი,
გამოსწორების გვინდა წამალი,
თუ არ მოხდა და ვერ შეიცვალა,
ხელში ჰქონოდეს კაცის ალამი.

2017

**ქეთი კაშიას**



დიდი ქალი მოევლინა,
ზაურის და დოდოს ოჯახს,
ქეთიმ სამყარო შეავსო,
მის მომავალს ღმერთი ლოცავს.

მომხიბლავი მთვარის მსგავსი,
გაიზარდა სასახელო,
გარემოში ვერვინ ჯობნის
თავს ევლება საახლობლო.
შინაურთა სიყვარულის
ჭეშმარიტი ოსტატია,
ვერ დაასწრებ სიკეთის ქმნას,
იგი ყველას ქომაგია.
ოჯახს უზრდის შვილს - მარიამს,
საოცარს ბავშვთა მოდგმაში,
უფალს ვთხოვ, მსგავსი არსება -
ყველას რომ ჰყავდეს ოჯახში.

2019

**მარიამს!**



მარტის თვეში მოგვევლინა
მზეთუნახავი მარია,
სილამაზით პიკსაც აღწევს,
ქვეყნად არა ჰყავს დარია.

დედიკოს იმედი არის -
გახდება ბრენდი ქალია,
გონებით უკიდეგანო
მნახველს აოცებს მარია.
უსაყვარლესი, ულამაზესი,
უმარტივესი ძალიან,
ბედნიერების მწვერვალზე ივლის,
ღვთის დალოცვილი მარია.
როცა შეხვდები, ვერ მოშორდები...
ყველას აოცებს ძალიან,
გონიერების სამყაროს მფლობელს...
გულთბილს, მოყვარულს - მარიამს.
ახლობლებისთვის ოცნება არის,
იმათ იმედად გაჩნდა მარია...
ღმერთმა უშველოთ, წინსვლით იარონ,
ცხოვრება გახდეს მათთვის დარია.

2019

**ვერიკო და მარიამ ჭაფოძეები**

{ჩემი ოჯახის ახლობლები}




ყუმურს ამშვენებს ლამაზი მოდგმა,
მარიამი და ვერიკო,
ამ კეთილ ხალხის გამოჩენამდე,
საქმე უბანში კარგად ვერ იყო.

გაიზარდნენ კარგ ოჯახში,
შრომა არის მათი არსი,
ზრდილობა ყოფა- ქცევაში,
ვერ აჯობებთ, ვერც ათასი.

სიკეთის მატარებლები,
წესრიგის გამტარებლები,
ყველასთან მიღებულები,
სახელით - დიდებულები.




კეთილ მომავალს ვუსურვებ,
გოჩას-მაიას პირმშოებს,
უფალი გზას ულოცავდეს,
აღარ აკლებდეს ჯილდოებს.

უბანს ამშვენებს ლამაზთა მოდგმა,
ჩვენი ვენერა და მარიამი,
მომავლის მეკვლეედ მათ შეხვედროდეთ
კარგი ბიჭები სახელიანი.

2019

**ცისანა ბელთაძეს**
{ჩემი ბავშვობის დაქალი}



თინეიჯერის სამყაროდან
მოგირგია -
ბებოს სტატუსი,
შეისისხლხორცე დიდქალობა,
სინდის - ნამუსი.
ბევრი გინახავს ცხოვრებაში,
ავი და კარგი,
გზა შეარჩიე მისაღები
ნამდვილად - მარგი.

ბედმა გარგუნა, აღგეზარდა
ახალგაზრდობა,
დიდი ღვაწლისთვის წილად გერგო -
ხალხის მადლობა.



შექმენ ოჯახი მისაბაძი -
შესანიშნავი,
ქალ-ვაჟს გზა მიეც ცხოვრებისკენ
თვალთუნახავი.

მომავალი გყავს სასახელო,
ძალზე ქებული,
ღმერთმა დალოცოს მარიამი-
ბებოს ერთგული.




თინეიჯერის სამყაროდან
მიგიღია
ქალის სტატუსი,
შენს კეთილ ოჯახს დაელოცოს
სინდის -ნამუსი.

2020

**ბადრი ადეიშვილს!**
{ჩემი მეგობარი}




კაცი ერთგული, კაცი ძლიერი,
მოუსვენარი, სინდისიერი,
არას წაგართმევს, აღარც
დაგაკლებს -
განუზომელად გულისხმიერი.
სანთლიით საძებნი პატიოსანი,
უერთგულესი უბრწყინვალესი,
გვერდს გაგიმაგრებს, არ მოგშორდება -
მთელი არსებით შენთან დარჩება.
დაუზარელად გულს ამოიღებს,
შენთვის დახარჯავს სისხლის ბოლო წვეთს,
გამორჩეული კაცის სახელი
„ბადრის" ერგუნა, ყველა შეამჩნევს!!
შრომობს თავდახრით - ლუკმა პურისთვის,
ოჯახს რომ ჰქონდეს საზრდო - ალალი,
არ იხედება სხვის გარემოში,
არ იცის ბოღმა - არის მართალი.

კაცი ერთგული, კაცი ძლიერი,
თავმდაბალი და გულისხმიერი,
უფალს შევთხოვოთ, მუდამ გვიმყოფოს,
სიცოცხლით სავსე და ბედნიერი.

2014

**თინათინ გეგეშიძეს**


ავტორი მეუღლესთან,
თინათინ გეგეშიძესთან ერთად

რაჭველის ქალო თინაო!
გვასწავლე შენი ბინაო,
ახლო ხალხმა რომ შეიტყონ
დღეობა სად აღნიშნაო.
სახელობითი დღისადმი
მზადება გვიძევს წინაო,
გილოცავთ ყველა თინათინს
წმინდანს რომ ერქვა თინაო!

2010

## ჩვენს მართვეებს


თინათინ, სანდრო, გეგა, ანდრია ადეიშვილები

ანგელოზთა გუნდი გალობს,
ჩვენს მომავალს ღმერთი წყალობს:
კოტეს, შალვას, თიკას, სანდროს!!
ანდრიასთან - გეგა ხარობს.
ღმერთს შევთხოვოთ, სხვის პირმშოებს -
თამარს, ქეთას, შოთას, ლევანს,
ანას, მარის, ცოტნეს, ნოეს
და სუყველას - უფლის მხევალს,
ჰქონდეთ დიდი მომავალი,
არ შეუჩერდეთ წყალობა,
კაცს ერქვას კაცის სახელი
ქალს არ მოაკლდეს ქალობა.

2019

# „ეს უცნაური ცხოვრება“ მერი

## მშობლების გამონათქვამი
{უკვდავი ყვავილი - ყუმურში მშობლების ბოტანიკური ბაღიდან}




დავრგეთ, ვახარეთ!
დიდხანს ვიხარეთ,
წავალთ იმქვეყნად,
თქვენ აქ... იხარეთ.

2016

## ერთგულს

ერთგულს მივანდობ სულს,
მუდმივად ვუძღვნი გულს,
არ დავივიწყებ არასდროს-
კეთილ - განწყობა მსურს.
არ შემიძლია ორპირთან ყოფნა,
არავის ვუგდებ ყურს,
ყველამ იფიქროს კარგი აკეთოს,
ველარ ვიგუებ მრუდს!

ვერ დავივიწყებ ერთგულ მეგობარს,
მისი აფრენა მსურს,
არ უნდა შევცდეთ სხვის არსებაში,
ნუღარ ვიფიქრებთ ცუდს!!

2019

## გასაჭირი

ყველა კარები დახშულია
                    ზოგჯერ ცხოვრების,
მძიმე განსაცდელს ვინ გაუძლებს!!
                    ...აბა როდემდის?
ბრძოლას აგრძელებს ღირსეული,
                    ქვეყნად მარადის,
გვიან შეიტყვეს, როგორ გახდნენ,
„მსხვერპლი ღალატის".

ტვირთი, რომელიც აიკიდეს,
უნდა ტარება,
რადგან ვერ შესძლეს... აირჩიონ
სხვა ნეტარება.
სავალი ჰქონდეთ გონიერებს,
მედგრებს, მებრძოლებს,
რომ უხილავი გზა, არ დარჩეთ,
ნამდვილ მეომრებს.

ნურც, იმას იტყვით, რაც ვერ შეძლეთ,
ვინმე სტყუოდეს,
თავად თქვენშივე, იქნებ ნახოთ...
„ვინც რომ ცრუობდეს".
სირთულეები, ვერ დაძლიეთ,
ბედმაც გიმტყუნათ,
გამოსწორების გზის ძებნისას,
პირი იბრუნა.

წლები გავიდა, ვერ ამჩნევდით
თქვენს ირგვლივ მომხდარს,
ალბათ გეძინათ, ვერ ხედავდით
ჭირს კარზე მომდგარს.
თუმც, როცა ნახეთ, დაცურავდით,
კუპრის მორევში,
ამის მომსწრეთ, ვერ ეტყვიან...
დარჩნენ ცოცხლებში?

ყველა კარები დახშულია
ხშირად ცხოვრების,
მძიმე განსაცდელს ვინ გაუძლებს!!
...აბა როდემდის?

2010

## თ ა ვ ხ ე დ ი...

ანგელოზს მოიშველიებს
ამ ქვეყნად „ისე“ მარები!!
თავად?? ყველას, რომ ახრჩოლებს,
მას... წუმპეში აქვს ნარები. ...
ღმერთთან დგომას, რომ „იჩემებს",
ძალზე ბევრი აქვს შუალედი,
მოძღვრებას თუ შეეშვება,
არ გვეყოლება თავხედი.

2012

## დარიგება

მისი წარსული რომ ვიცი,
ვიცინი აღარ ვსტირი მე,
იქნება შეძახილებით,
ეშველოს თქვენი ჭირიმე.

თამამად რომ დააბიჯებს,
ამას ვერ ამჩნევს მრავალი,
თუ გვსურს რომ გამოვასწოროთ,
გზა შევურჩიოთ სავალი!

2010

**წისქვილი**

{რეალობა}

დაცლაზე მისულს დაემსგავსა
„ხვიმირა" ჩვენი,
რადგან დასასრულს უერთდება
სიცოცხლის დღენი!
უმალ დაცლილა, ბოძებული
სავსე „ხვიმირა",
რაიმე ვნახეთ ცხოვრებაში...
აბა, ვინ გვითხრა?

ისიც, ხომ ვიცით, ნახევარი
ძილში გამქრალა,
თან მომავალი სიცოცხლისთვის
წყაროც დამშრალა!
იმისგან კიდევ, მესამედიც
დარდმა განკარგა,
ხოლო რაც დარჩა, ნუღარ დავთვლით...
აზრი დაკარგა! ...

თუმც სურვილია, გავაგრძელოთ
მშვიდად, გზა-შარა,
უფალს დიდება! იმ ქვეყნისთვის
მზადებაც კმარა.

დაცლაზე მისულს დაემსგავსა
„ხვიმირა" ჩვენი,
რადგან დასასრულს უერთდება
სიცოცხლის დღენი!

2012

**უმსგავსო**

{ეძღვნება 120 კგ-იან ახალგაზრდა კაცს}

ვირი!! ... მიმტანად მსახურობს,
მონახა გამოსავალი,
სინდისი დაუკარგია -
იპოვა შემოსავალი. ...
სახედარო!! გზა დაძებნე,
საკადრისი გამონახე,
განცვიფრება ზენიტს აღწევს,
ჩემი თვალით ეს რა ვნახე.
ვირო!! გონებას მოუხმე,
საქმე იქმენ შესადარი,
ჩვენს მამულს უცხო ტომებმა,
მოუმარჯვეს თოხი-ბარი.
შენ ხომ... საცუცნავის ძებნით,
დააბოტებ ცოცხალ-მკვდარი.
თურქთან სამსახურს არ გირჩევ,
შვილს რას ეტყვი... „ვირი - მხდალი" ?
უმალ დატოვე სამყარო,
კაფეს ყავდეს თურქის ქალი!

2018

# ს ა ს წ ო რ ი

მე, არ ვიცოდი ვინ იყავ!
მუშა, მხვნელი, თუ მეჯოგე,
ახლაც უცნობი რამ არის
მტერს როგორ „წამოეჩოქე".
მიზნად დასახე ამისთვის
ვიწრო გზა ბილიკიანი,
გამოსავალის ძებნაში
სულ იყავ ენაწყლიანი.
ველარ მოზომე „კეთილო"
აღმოჩნდი სხვა გარემოში,
უგნურებას და სიბეცეს
ქვეყნად ვერავინ ვერ წაშლის...
ისმინე ჭკუის მძებნელო!
მიჰყევ ბრძენკაცის რჩევასა,
ჭირს მყოფი, ლხინში შესული
უმალ ითავსებს ვნებასა.

გამოძახილი დავით გურამიშვილიდან.

2017

## სინანული

კითხვა:

„როგორ მინდოდა შენი ნახვა
და ვერ ვახერხებ"

პასუხი:

ზოგჯერ ასეა...
არაა ცუდი!!
ნუღარ განიცდით
იშლება მრუდიც!!
ცხოვრებამ იცის
ყოველის „მნახემ"...
ღმერთი ჩემთან არს
კარგად მენახეთ!!

2019

## კაცია..ადამიანი?

ერთდროულად მოიშორეს -
ჯადო, კიბო, გარეწარი!
მადლობა ღმერთს დაინახეს,
რომ არ იყო მათი დარი.
ისე ხდება, უმალ უკვე -
თავად ჩნდება შესადარი.
ნუ ენდობით ყველა გამვლელს,
თვით შეარჩიეთ საფარი...
სიბეცით და აჩქარებით,
რომ არ დაგეცეთ თავზარი...

2007

## მოძალადე

მოზარდი ქალი მომავალ რჩეულს,
გინდა არ გინდა თავად ეწვია,
უმალ შენიშნა უმანკო სული
და გადაწყვიტა, რომ... მიეღწია.

სალ კლდეს მიადგა იგი ოცნებით,
რომ გაენგრია, რთული სამყარო,
აღარ დაზოგა, რაც მას გააჩნდა,
ყმაწვილი კაციც შეხვდა მალამო.
შეება იგი მსხვერპლსა მოფრენილს,
სურვილის მორევს თავად მონობდა,
აღწევდა მიზანს, რაც კი მას სურდა,
რათა რჩეული გვერდით ყოლოდა.
აღარ იფიქრა, რომ გზას გაკვალულს,
რა მოყვებოდა მომავალ რბოლებს,
ვის საზიანოდ ვის სასარგებლოდ,
ეს ფუჭი ბრძოლა გასცემდა როლებს.
დასრულდა ჩანაფიქრები
ვითარც სიზმარი ღამისა,
შეერთდნენ გზაში ნაპოვნნი,
თვით მიღწეული ზავითა.
უმალ გაჩნდა მომავალი,
ვინ? ვის! მისცა მოსავალი?
ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და
ნახეს სხვა გამოსავალი.

პირმშო დარჩა გზა-შარაზე...
ყველა დარდობს რაღაცაზე!!
საქმე საქმედ რომ მიდგება
კაცი არ ჩანს ქვეყანაზე.
ცოდვა- მადლის გამკითხავი
ღმერთი დარჩა მხოლოდ ცაზე,
უაზრო მოქმედებებმა,
მეტად იმოქმედა სხვაზე.

2010

## უცნობი ავტორის ლექსის ინტერპრეტაცია...

„ლამაზი ქალი" სამყაროდან სიკეთეს აფრქვევს
მე, უნებურად გამეპარა მის მიმართ თვალი,
რა დროსააო მარტომყოფი ფიქრობს და, კიდევ,
მაინდამაინც რატომაა... სამყაროს ქალი?!
ქალმა ირიბად გადახედა სამყაროს თავისს,
დამლანდა წამსვე და ღიმილი მაჩუქა თბილი,
ჰოი საიდან მოსულაო უცხო არსება!!
გაიფიქრა და შეიბნია გულმკერდზე ღილი.

2018

**ერთეულებს**

ნუ იფიქრებ... არ გიცქერენ!!!
ხშირად ფაქტებს არ გიჩენენ...
ტყუილს იტყვი - დაგიჭერენ!!!
ხვალ-ზეგ საქმეს გაგირჩევენ...

ლექსიკონიდან " ფაქტი ჯიუტია".

2012

**„გონჯი"**

გამოუცნობის სახითა,
„მის საქართველოს" თვალია,
შეხედავ მოგეწონება
შესანიშნავი ქალია.
სუფრასთან ხელგაშლილია,
მართლაც არა ყავს ბადალი,
არ ზოგავს პირად გროშებსაც -
კეთილიც არის, ალალიც...

სხვისგან ითხოვს თანადგომას,
თუმცა, სადაა ნაზავი,
დღეს თუ კოშკებს აუშენებ,
ხვალ-ზეგ იქნება აფთარი.
გონჯია საქმე ყოველთვის,
რომ ვერ გაიცნობ „სახესა",
ცხოვრება უკან გიბრუნებს
სხვისთვის დასაგებ მახესა.
დაუშვი დიდი შეცდომა?,
თითქოს გაიცან „მაგარი",
თუმც! ვერ გათვალე ყველა გზა,
ჰოდა!! გერგუნა სადარი.
ველარ იფიქრე თავიდან,
ნაგავში დგამდი ნაბიჯებს,
რაღა დროსია, ვერ შეცვლი,
რაც გინდა ძვირი დაგიჯდეს.
ვარდის ეშხით მოგევლინა,
არ გიფიქრია ეკალზე,
მაშ როცა ნახე - „მიირთვი",
რად გადახვედი ზეკარზე?

გვერდში რომ გედგა გეგონა,
ქნარი კეთილის მსურველა,
დიდი ხნის მერე ირკვევა,
თურმე ყოფილა „წურბელა".
კეთილ საქმეს აშენებდი
შეეცადა დაენგრია,
მაგის შემქმნელს მაშ რა უთხარ,
წლები ფუჭად აირია.

2018

**ნაწილს !!!**

{შოთა ნიშნიანიძის წყაროდან}

„წუთისოფელი" ომია,
ომი კაცის და ნაძრახის,
ომში ვატარებთ ცხოვრებას,
ბევრსაც გავუძლეთ აქამდის.

2016

## დაბადების დღის მილოცვა

სასწაული დღის დადგომა,
განცადას რომ იწვევს ბევრს,
გინდა არ გინდა ამის შეგრძნებას -
ვეღარ აუვლით გვერდს.
იგი, მოიცავს ბავშვობის ასაკს,
გარდამავალსაც მეტს,
როცა დათარავ სიჭარმაგის გზას,
და დაუყვები ხევს,
ამ დღის სიყვარულს, კვლავაც აღიქვამ,
მაშინ რაც იყო!!! ...დღეს.
თითქოს არ ლამობ, მოლოცვის აღქმას,
რომ მოგაგებენ ბევრს,
ჩუმად გამოთქვამ კმაყოფილებას,
მადლობას სწირავ ღმერთს.
იგი ეძღვნება ჩვენს გვერდით ყველას,
და კიდევ ქვეყნად ისევ ერთადერთს,
უნდა ვირწმუნოთ ეს რეალობა,
რადგან ვერ გეტყვით - ზედმეტს ვერაფერს.

ყველას სიმშვიდე - ზეაღმავლობა,
და ამ დღეს კიდევ ერთს!
წლებმა გარგუნოთ ლაღი ცხოვრება -
ხვალ იქნება თუ ზეგ !
    სასწაული დღის დადგომა,
    განცდას რომ იწვევს ბევრს,
    გინდა არ გინდა ამის შეგრძნებას,
    როგორ აუვლით გვერდს ??
    ღმერთმა დაგვლოცოს - გაგვაძლიეროს,
    არაფერს ვითხოვთ მეტს...

2020

## ფაქტია ჯიუტი

ქალთა ელიტა სიგარეტს...
ოთახში „ჩუმად" ქაჩავდა,
მოქმედმა წესმა „ამისთვის"
ეზო - სარდაფი გახადა.

ხალხის „რჩეულნი"!! აქამდე,
თუ ჰგავდა „ფაქიზ- ნატიფოს",
ახლა გაშიშვლდა, ყველანი...
ემსგავსნენ „ბომჟა-მაშიკოს "...
კანონების შემოქმედნი,
არ-არს სწორი- აგებს მახეს,
ნარკოტიკს... თუ, თუთუნს იხმარს,
რისთვის ქმნიან ამდენ ნაღმებს.
დავალება „სხვისგან" მოდის,
დაინერგოს მძიმე სენი,
ბეწვის ხიდზე სიარულით
რომ დაღუპონ ერი-ბერი!
ზნედაცემულ ხალხთა სიას,
ხშირად უერთდება ბევრი ,
კანონპროექტს გვთავაზობენ...
„უკან ავიფაროთ " ხელი...
შეებრძოლონ გრანტის მომცემთ,
გზა ჩაახშონ... აქ, მიმღების,
ამ უკუღმართ სექტის მიმართ,
წესებს ითხოვს ხალხი დღემდის.

ამ ყველაფერს სხვა სუნი აქვს,
თუმცა ბევრსაც არ ადარდებს,
ძირფესვიან გადაცდომებს,
სიმწარე აქვს ვითარც ნაღველს.
„შემოგდებული სიკეთე"
ალბათ მრავალ მოკვდავს აწყობს,
დამალულ - შეყუჟებულნი.
„გრიალებენ"... თაკოც!, მახოც!
სად მიგვიყვანს ამ გზით წასვლა,
ნათლად ვართ დარწმუნებული,
გავფრთხილდეთ, გამოვიფხიზლოთ
არ დავრჩეთ „დაკიდებული".

2018

## მცირე აკადემია

მოგწონთ ფეისბუქში ყოფნა -
მეგობრებთან მიტინგი,
გსურს თუ არა მაინც გინდათ
გულახდილი ჭიკჭიკი.

დილით როცა გაიღვიძებთ
გადაფურცლავთ ყველა გვერდს,
ინტერესით განიხილავთ,
ვინ გიკითხათ განვლილ დღეს.
სიხარული გეუფლებათ
როცა ხედავთ ახლობლებს,
ინტერესით გადახედავთ
„მოწონება- მილოცვებს".

* * *

საინტერესო ქმნილება
ვინ შექმნა ასე წარმტაცი,
მისი მომგონი აშენდა
ერთად ერთობა „ცხრა" კაცი.
ხალხის შეცნობის თემაზე
ნუღარ იკითხავთ ნურაფერს,
ხასიათს ყველას გაუგებთ,
დღეს იქნება - თუ, ხვალ და ზეგ.

თავს გახვევს ყველა ყველაფერს -
ტყუილს, მართალს თუ მონაჭორს...
საასპარეზოდ იყენებს,
რაც არ სმენია... ერთად ორს.
მოქმედებაში ზოგ-ზოგნი,
წარმოადგენს „წმინდა წყლად",
თუკი ბოლომდე ჩაწვდებით -
შეიცნობთ ვითარც ნიაღვრად.
ყველას გაგაცნობს ეს ქსელი,
ვინ გყავს სიაში ნამდვილი,
ამოუცნობის სახითა
აღარ დაგრჩებათ სამხილი.
მოვლენა - განვითარების,
დიდი რესურსი თან ახლავს,
რა საკითხს გინდა შეეხო,
გამოუცნობი აღარ- არს.

*** * ***

სამყაროს შეცნობის კუთხით,
ძველსაც გაცნობს - ახალსაც,
უთვალავ ამბავს შეიტყობ
ყველა სფეროში რაცა გაქვს.

ბევრსაც იხილავთ საოცარს,
არნახულს, გულის ამრევსაც,
თუ შეეგუეთ ყველაფერს,
არავინ გირჩევს რამესაც.
არსებობს ისეთი ვინმეც,
ფეისბუქს იპყრობს უბრალოდ,
არას იკითხავს ქსელებში,
ვინ რას აკეთებს უშუალოდ.
ფუსფუსებს სუფთად თავისთვის...
იმ სამყაროდან არ იღებს საზრდოს,
არც ფიქრობს სხვის ქმედებაზე...
და იგი არაფერს დარდობს.

* * *

მოქმედებს ჯგუფი- ჩასაფრებულიც,
ინტერესდება ყველაფრით,
აღარ დაეძებს ტყუილ-მართალს,
თავს ვერ ანებებს ვერაფრით.

როცა თავად სურს მსხვერპლსაც გასწირავს,
ადგილს მიუჩენს სასწაულს,
თუ რას აკეთებს არ დაფიქრდება,
ასჯერ მეტს აფრქვევს ვიდრე დანახულს.
ძალზე ბევრია, ვინც-კი იყენებს,
ინტერნეტ სივრცეს მიჩქმალვის თაროდ,
პირად საუბრებს იქ დაალაგებს,
სხვამ რომ ვერ ნახოს... რაც სურს
დამალოს.
ვერვინ გაუგებს ბნელ ჩანაფიქრებს
და ამ დროს იგი რა გზებს აშენებს,
თავისუფლებას და დროს ტარებას,
მართლაც მალულად - ძლიერ ახერხებს.
ის... თვალთმაქცობით ბევრსაც ატყუებს,
მაღალ დონეზე ყველას აბოლებს...
თუნდაც რომ სცადო, ვეღარ უპოვნი,
ახლოო მყოფთაგან მისთვის სანდომელს...
თუ დაგვიჯერებთ ასეა...
გინდათ განვსაჯოთ ერთადაც,
ცხოვრების ინტერესშია...
ყველამ წარმოვსდგეთ რაცა ვართ.

2016

## ხ ი დ ა ნ ხ ე ზ ე გადასკუპდა ჩიტი ! ?

თავხედების- სასწაული „ჭიბრით",
ხიდან - ხეზე „გადასკუპდა" „ჩიტი"...
ამის შემდეგ წარმოიდგენთ!?,
ცხოვრება აქვთ მეტად- „მშვიდი" .
აშკარად ჩანს, ჩადენილით....
ცოდვები აქვთ ძალზე „დ ი დ ი"
ბრმა ჩიტების - ღრმა სიბეცე,
მართლაც ხდება მძიმე „ტვირთი".
ხშირად ვფიქრობთ, რეგვენებმა
ბრმად მიირთვეს ჩოჩრის ტვინი,
აირჩიეს მრუდი გზა და
ხალხში დარჩნენ ვითარც „ბრიყვნი".
არას ვამბობთ... თავხედებზე,
ნაძირლებზეც რაღას „ვიტყვით"
ნუ იკითხავთ, გრძნობენ რამეს!?
აღარაა აქვთ ქენჯნა- რიდი.
აღარ უნდათ შეცდომებზე
ახლად ააშენონ ხიდი,
შვილებისთვის... მომავლისთვის,
მისაღებზე უფრო -დიდი.

თუ შესძლებენ, ვინღა ეძებს,
წინ ყოფილან... აბა მიდით!!,
გაუმართლებთ? დაელოდონ,
იმედებით- მთელი ხიბლით,
ნუღარასდროს იფიქრებენ ,
ორჯერ- ორი არის შვიდი.
ყველაფრის მიუხედავად-
საღამო აქვთ, თითქოს მშვიდი...
მაგრამ უხეშ მოქმედებას
ხშირად ნანობს, ჩვენი ჩიტი!!!

გამოძახილი ტერენტი გრანელის ლექსიდან.

2016

## ზოგ-ზოგებს

რად იმალებით გვრიტებო,
ფეის-ჩატების შუქზედა,
რას ფიქრობთ, ხალხი ვერ ამჩნევს,
ძარღვი რომ გაქრა შუბლზედა !?
ქცევაზე აღარ ვსაუბრობთ,
ისედაც ბევრი ნახესო,
ქოქოლას მათგან მიიღებთ ,
ვინაც გაგიცნეს- გნახესო!

2017

## განმარტოება

ინტერნეტ კავშირს უარი ვუთხარი,
დროზე ავანთე თბილი ბუხარი,
ვისაც მივენდე იმან მიგანა,
სიმართლის თქმამდე მრჩება მწუხარი...

მეგობარს გავყევ კერვა -კემსვაზე,
დრო მქონდა ბევრი ვერ გეტყვით რაზე,
განვლიიე გზები უკან დავბრუნდი,
სიკეთე ვქენი შემოვდე ქვაზე.
დავაგვიანე?
ნუღარ მიძრახავ,
გამოვასწორებ ყველაფერს
ხვალ-ზეგ!!

2019

## **„დაცემა" !!!**

ქცევას როცა დააკვირდნენ,
ბევრი ცუდი დაუნახეს-
დაცემულის სამოსელში
ნათლად ჩანდა მისი სახე.
ქმედებები სახეზეა,
შენიღბული... ყოვლის მძლეო,
მთლად გაშიშვლდა, რომ ეხილა,
ზნე დაცემულს სხვისი ხ ე ო.

ვერ ენდობი კაცთა მოდგმას,
მით უმეტეს „ალქაჯსა",
გაგწირავს და არ დაგინდობს,
ვეღარ იცნობ თავსაცა.
ვერვინ შეძლებს შეაგონოს
ეშმაკს პირწავარდნილს...
დაიჯერე, ვეღარ შეცვლი
ქლესას ძირგავარდნილს...

2013

## ჯიქი რევიას

აღმა-დაღმა დააბოტებს ნელ-ნელა,
სერზე შესდგა, ჭმუნვის ალი ენელა!
მზემან სხივი მოაფინა მაშინა,
სირცხვილს ვერ გრძნობს... ქცევამ ვერ შეაშინა.
არეული ცხოვრება რომ ინება...
ვეღარ ამჩნევს ცოდვით, მადლი ელევა...
ღმერთმა ხელი მოუმართოს მაშინა,
გამოფხიზლდეს... იგრძნოს რამ შეაშინა.

2013

## „სმენა და გაგონება" !

არ იყო გუშინ ასე,
ვერ მძინვარებდა მტერი,
ბოროტმა ძალამ მაშინ,
ვერვის დარია ხელი.
მერე რა ხდება ახლა?
რად შეიცვალე „ვნებით"?
იქნებ იფიქრო ასეც,
გვერდში რომ გიდგას „მხელ-ნი".
ჰოდა!! შეხედე კარგად,
ხომ არას გერჩის „მეხი",
ცოტაც გონებას უხმე
არ დაგიცურდეს ფეხი.

2013

## მევახშე – ბანკირებზე !

ბევრი მაქვს ბევრს არ ვჯერდები
„ბეჩავთ არც გაუზიარებ",
მოხვეჭა - გამდიდრებისთვის
წუთით არ დავაგვიანებ
ავის ქმნით, ავის ქცევითა
გულს ყველას დავუზიანებ!!

ინტერპრეტაცია- ვაჟას წყაროდან

2018

## ჩვენი საოცარი სამყარო

ვინ დათვალოს ბანკის „ქისა"
და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეამკოს ღირსეულად
მევახშეთა ნაკვალევი.
ვინ მოგვითხრას მათი საქმე,
,,მეთოდური-საგმირონი“
და ან მათგან ბოძებული
ფუჭის მქონე გზა-მინდორი.

გროვა მათი სიმდიდრისა,
არ ჩაქრება გწამდეთ ყველას!
ხალხის ხარჯზე მოხვეჭილნი,
ღატაკს ტოვებს ერსაც-ბერსაც.
ახლა მათი თაღლითობით,
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა,
თუ ოდესმე იქ თავს შეჰყოფთ,
იმათ ნექტარ გარემოში,
ჩათვალეთ, რომ სამუდამოდ
არ შეგრჩებათ ერთი გროში.
თან დაკარგავთ ბინას, სარჩოს,
ცხოვრებას და მიწა-წყალსა,
მიაშურებთ უცხო ქვეყნებს,
„საცვალს" გაურეცხავთ სხვასა.
რამდენზე უნდა ვიფიქროთ...
სხვა გასაჭირიც ხომ ვიცით,
დაველოდებით ცვლილებას,
თუ ეს ცხოვრება მოგვიცდის.

* * *

ვაი, რა ბედი გვქონია,
თვალწინ გვენგრევა მთა-ბარი,
ვერცერთმა „მწყესმა" ვერ შესძლო
ხალხის დამწყემსვა სხვაგვარი.
        წარსულს მისტირის ყველა შტო...,
        სუსტი იყო თუ მაგარი.
        თითო-ოროლა არ დარდობს,
        საქმე აეწყოთ ამგვარი.
მასები განსაცდელშია,
არ გააჩნიათ სახსარი,
ფარმაცევტულმა ბიზნესმაც
ყველას არგუნა თავზარი.
        წამლის ფასებმა ათასჯერ
        გადაუარა სამყაროს,
        ნაღდად არა გვყავსა პატრონი,
        არც ვიცი, რით გაგახაროთ.
თუ ავად გახდით ოდესმე,
სადმე გაიქცეთ გიჯობსა,
,,ფარმა სახლებში" ფასები
უმალ გაგიჩენთ კიბოსა.

მილიარდებზე თამაშობს,
სულ მცირე სამი „სამყარო“,
ფასების ზრდაში წვლილი აქვთ
,,ავერს“-ს“, ,,პსპ“-ს, ,,სახალხო“ ს.
მუდამ ჰყავთ დიდი მფარველი
უკიდეგანო ,,მარაო”
ზღვარგადასულმა ქმედებამ
ხალხი გახადა საბრალო!
ყველა კუთხეში გაგვიხსნეს
,,წნეხ-სამკურნალო” საბაჟო...,
ხალხის ჯიბეში ძვრებიან
უძლურს, დავრდომილთ ტყავს აძრობს,
წამლებიც უხარისხოა,
ამაზე არვინ არ ნაღვლობს.
ვინ აძლევს ამდენ უფლებას,
ხალხი მუდმივად მას დარდობს.
ჩვენს კუთხეს არ ჰყავს მომვლელი,
ნაღდად, რომ ვაი მათ პატრონს.

* * *

„ბანდდება!!!“
ჩვენში - თუ სხვაგან,
ნაყაჩაღარი თანხები,
ქვეყნის ხაზინას რა მისცეს,
კაცი არ არის გამგები.
ვერ დაიჯერებს მოკვდავი,
ამ ქვეყანაზე მარები,
დრო დადგა გამოვიფხიზლოთ,
აღარ დავხუჭოთ თვალები.
ცუდ მომავალს მოგვასწავებს,
მოელვარე ,,ყველა-ფერი“,
დაჟინებით მიგვანიშნებს
განადგურდეს ჩვენი ერი.
დამიჯერეთ არ ჩაკვდება,
გაიღვიძებს ,,ერიც-ბერიც“,
მომავალი ცხოვრებისთვის
გაკეთდება ყველაფერიც.
ამ იმედით ფრთაშესხმული,
ჩვენი გული სიამით ძგერს
და ,,ოცნებაც“ ლაჟვარდ ფერად
წარმოგვიდგენს ხვალინდელ დღეს.

,,მოქმედ ნერგზედ“, ,,ახალ ნამყნის“
ველოდებით შეხორცებას,
მით ვიქარვებთ აწყმო-ნაღველს,
ველოდებით აღტაცებას.

ჩვენი კლასიკოსების წყაროდან.

2014

**„კოვზი ნაცარში"**
ხალხურ მოტივებზე {რეგვენები}

გარეწრები!! შეკავშირდნენ
ჰქონდათ დიდი სჯა-ბაასი,
მზაკვრულ გეგმებს ამზადებდნენ,
ღამე გაათენეს ასი.
ჩაისახა ბოროტება,
რა გზით შეეღწიათ ხალხში,
საკითხს ვეღარ აგვარებდნენ,
უნდა მოეწვიათ „მახვში“.

უმალ გვერდით დაიყენეს -
უცხო ტომის გადმონაშთი,
კარგად ვიცით, ამ საქმისთვის
ჰყავდათ სამი ყიზილბაში.
ამათ!! უფლის რომ არ სჯერათ,
მოწმე არის ერიც- ბერიც,
რადგან ღმერთთან შორს არიან,
ბოროტებას მათგან - ველით.
ერთხელ !!!.. ლხინიც გადიხადეს,
მიიწვიეს „ქვეშ-ქვეშები",
სუფრას ერთად ეჯდა ჯგუფი-
„უკან-მძრომნიც", „რეგვენებიც".
ტაშ -ფანდურას როცა მორჩნენ,
გადაწყვიტეს „ხალხის" ბედი,
ვერ გათვალეს რეგვენებმა,
როდის „იყივლებდა" გედი.
მათგან... განწირულმა, ხალხმა
მყისვე იგრძნეს ცბიერთ ხვედრი,
თავს რომ შველა სჭირდებოდა,
ფიქრი არ უნდოდა ბევრი.

აჩუხჩუხდა „დაცვის წყარო",
სწრაფად მოიძებნა გზები,
ნაძირლების ჩანაფიქრი
წყალში ჩაიღვარა ვედრით.
ვინ არიან რეგვენები?!
კითხვით ნუღარ დაიღლებით,
მოკლედ გეტყვით ჩემო ძმებო,
დააკვირდით... თვით მიხვდებით.
მაღალი პოსტის მფლობელთან,
კავშირებს ფლობენ „წინსვლითა",
მაგათ რომ ჰკითხო გეთაყვა,
ხვალ განდევნიან წიხლითა.
ვაი რა დღეში ჩავარდით,
თავზე დაგვენგრა სახლ-კარი,
ამ ქვეყნის გზა -აცდენილთა
ბუნაგი გახდა საფარი.

2010

# წყენა

წყენას ნუ ჩავიდებთ გულში,
რადგან დიდი დარდია,
თუკი უმალ მოვიშორებთ
ყველასათვის მარგია.
წყენა! როცა, „შენგანც"- „ჩემგანც",
უდიდესი ტვირთია,
გადავხედოთ და ვირწმუნოთ,
არ ვართ ამის ღირსია.
გეთანხმებით წყენის მოხსნა,
მართლაც რთული რამეა,
რადგან იგი როცა მოდის,
მისგან ცეცხლიც ანთია.
გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და,
ნუ შეგვიპყრობს წყენის სენი,
ყველას ძლიერ მოვეფეროთ,
გავუწოდოთ ძმობის ხელი.
ცნობილია ცხოვრებაში,
ცუდი მოაქვს წყენასა,
გწამდეთ, თუ ის ღრმად შევფუთეთ,
გვერდზე მოვსვამთ ყველასა.

წყენის მოყვარულებს ვურჩევთ,
ნუ წამლავენ არე-მარეს,
მალე მათი უნარ-ჩვევა,
აღმოჩნდება სულ სხვა მხარეს.
შევეჩვიოთ რეალობას,
მტრობას რომ სჯობს სიყვარული,
ვინც ეს ნორმა ვერ აღიქვა
გვიანია სინანული.
წყენამ აშალა სამყარო,
პოლიტიკოსიც თუ ბრძენი,
ვერვინ შესძლო დღევანდლამდე,
წყენით მოემართა ხელი.
შევეცადოთ! მოვიშოროთ,
ოდითგანვე მძლავრი სენი,
არ დაუშვათ ცხოვრებაში-
„ჩემზე"!! მაღლა იყოს „შენი"!!
წყენას ნუ ჩავიდებთ გულში,
რადგან დიდი დარდია,
თუკი უმალ მოვიშორებთ
ყველასათვის მარგია.

2012

## სატრფიალო

მიყვარხარ, მინდიხარ!
ყოველთვის მშვიდი ხარ,
გრძნობებში ჩაფლული
სამყაროს გვრიტი ხარ.
როცა ვერ გხედავ,
მით უფრო მინდიხარ!
როდემდე გეძებო
მითხარი ვისი ხარ!

2019

## მწარე რეალობა

დამღლელი დარდით, ფიქრებით,
თავში გიჩნდება ჭაღარა,
რაც რომ სიკეთე აკეთე
წყალში რომ გადაგეყარა.

სურვილის მიუხედავად,
ვეღარ გამართე ნაღარა,
ჩავლილმა წლებმა ვერ გითხრა,
სად სწორი იყავ, სად არა.

ბავშვობა იყო ჯანსაღი,
წმინდა ოჯახში აღზრდითა,
შენს გარდა ხომ გაიზარდა
ოთხი ძმა, ოთხი ქალიცა.

დედა რომ გზრდიდა სპეტაკი,
მამაც არ იყო ნაკლები,
ცდილობდნენ ამით შეექმნათ
ცხოვრების „ელიტ -ნაკრები".

ვერ იტყვი! როგორ შესრულდა
იმ ხალხის გულის ნადები,
გულწრფელად ახსნით ნათლად ჩანს
შეცდომებია რამდენი...

კაცის ვალია ყოველთვის,
ცხოვრების რიტმის აყოლა,
სხვათა თარეშის მნახველმა
არ გადაწყვიტო ჩაყოლა.

შვილები გინდა „გროვი-თა",
ძლივს გამოდიან „ორი-თა",
ბედს ეგუები, რას იზამ,
ან რას მიაღწევ ომითა?!

დრო დგება დააოჯახებთ,
სახლში მიიღებთ - „რჩეულებს",
აღარ იკითხავთ რა ხდება?
დარჩებით გზა-აბნეული.

სად იზრდებოდნენ „საჯიშნე" !?
სიტყვა მოუდით წყლიანი,
ვეღარ აჯობებთ ბრძოლაში
ნიანგი შვიდ მეტრიანი.

დაფიქრდით საბრალოებო,
დღეს თუ აღარა... ხვალეო...,
გაფრინდა წუთისოფელი,
დრო დადგა გაიხარეო.

გრძელდება ენა, ცხვირები
წამლავენ არე-მარესო,
გახმება ვარდიც, ეკალიც
ხეხილიც მსხმოიარეცო.

დაბოლდა დიდი პატარა
წნეხით დაინგრა სადგური,
თუ ვერ მიაღწევთ სიკეთეს
ატეხეთ აურ-ზაური.
წასვლა ჯობია, მოსვლასა,
ბევრს ნუ ულოლიავებთ,
კოსმოსშიც რომ გაგაფრინონ,
ვეღარ მოირჩენთ იარებს.
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სხვისგან ჩაგრულო მხარეო,
სნეულნი აღარ დაბრუნდნენ,
არ დარჩეთ მგლოვიარეო.

2011

# ნაძირლები

ნაძირლებო!!! თქვენ ამბობთ, რომ
ქვეყანაზე ვინც კი ჩნდება,
იმ წუთიდან მათი ქცევა
ყველა ჩვენგანს ავიწყდება!?
არა!!, არა!! გწამდეთ ყველას,
ამ საკითხში მწარედ ცდებით,
რადგან თქვენი ბოროტება
სახეზე ჩანს ყველაფერი.

როგორადაც ნიღბოთ სახე,
ნათელია ყველაფერი,
ეშმაკს გვერდით არ სცილდებით
ხალხს თვალს უხვევთ- ემიჯნებით.
თვალთმაქცობით სიბინძურით,
გარიყულნი მარტო რჩებით,
უნამუსო ქმედებებით
ჩანხართ როგორც მღრნელნი-გველნი...

ვერ მიაღწევთ, რაც გაქვთ გულში,
გქონდეთ რწმენა ვერდიქტების,
უფლისაგან მწამს მიიღებთ,
კუთვნილ სარგოს ხონჩით ხელში,
დაფიქრებას ვერც მოასწრებთ,
დაგემსხვრევათ იმედები,
გვიან ფიქრი არას გარგებთ,
კვლავ დარჩებით "ნ ა ძ ი რ ლ ე ბი".

„გალას" წყაროდან გამოძახილი.

2011

**ბრწყინვალე არსება!**

{ტრადიციული აზრი}

მისაღებია ... ქალი ჭკვიანი,
პატიოსანი ადამიანი,
სუფთა გარემოს წიაღში მყოფი
სანდომიანი – ენაწყლიანი.

ოჯახის ბურჯი ზე-საქმიანი,
მომავლის მეკვლე გამგებიანი,
არ ჰქონდეს შური... თესდეს სიყვარულს,
ყოველთვის იყოს ხალისიანი.
აზრის ოსტატი -მოდგმით ფხიანი,
მუდამ შემკული და საქმიანი,
მზეს ემსგავსება მისი ცხოვრება,
ცაში იფრინოს - ესა მიზანი.
ქალი ოცნება, ქალი ჭკვიანი,
მუდამ იქნება ადამიანი,
დღეგრძელი იყოს ყველას იმედად,
მისი აღმასვლა არის მიზანი.

ოცნება - ბავშვობიდან.

**დილა მშვიდობისა „ფეისელებო“ !!**

ძლივს მოვახერხეთ მოკითხვა,
„ჩატ-ბუქებში" ხართ ჩაფლული,
ხომ ხედავთ! გამოვიჩინეთ,
ზრდილობა მამაკაცური.

„ფეისში" მედგრად ფუსფუსებთ,
სახე გაქვთ როგორც - გამტანნი,
ჯანმრთელ ცხოვრებას გისურვებთ,
გვსურს გახდეთ დროის ამტანნი.
თქვენს !! „ქმარ-შვილს", „ცოლ-შვილს" მიხედეთ,
ნუღარ ირჯებით სხვისათვის,
დრო დაგიდგებათ ისეთი,
ვინ სად ისკუპებთ, ვინ საით.
გვიან იქნება ყოველი,
ოჯახზე ფიქრიც, მიზანიც,
არ გაპატიებთ უფალი
რას ვამბობთ ტყუილს გვითხარით.
თუ გადაწყვიტოთ ოდესმე,
არ მოგერიდოთ გვითხარით,
მაშინვე თქვენთან გავჩნდებით,
რჩევებს მოგაყრით კისრამდის.
ხშირად, უსუსურ- „სმაილკებს"
ვაწყდებით თქვენგან „მოგდებულს",
ნუ შეწუხდებით, გეთაყვა,
ნაღდს ვეღარ ვიტევთ - ბოძებულს.

ვის უნდა ქცევა „უმსგავსო",
თქვენ რომ თვლით ვალის გადახდად,
აღარ გვსურს თქვენგან მოძღვნილი,
რაცა ითვლება „არა-რად".
        აღარ გადმოგვცემთ ?? ცოტას ვიდარდებთ,
        არც სადმე წავალთ მსგავსის სანახად,
        აღარ დავიწყებთ მისთვის გოდებას -
        დედა რა მოხდა!! დედა რაღა ვქნათ.

2016

**ვიზალიბერალიზაცია ევროპისკენ**

თოვლია და მზეც აცხუნებს,
საოცარი ზამთარია,
ევროპაში გასაფრენად
ყუმურლებიც მზად არიან.

2018

# უ მ ა დ უ რ ე ბ ს !!!

{რეალობა ლექსად ნათქვამი}

იცოცხლეთ და გაიხარეთ,
მუდამ წინსვლით იარეთ...
თქვენს გზას ღმერთი მფარველობდეს,
გიშუშებდეთ იარებს.

ვეღარ შედგა ერთად ყოფნა,
ხშირად ვფიქრობთ ჩვენ ასე...
რადგან თქვენში- ჩვენს არსებას
ხარისხი აქვს „მეასე".

ნუღარ გვკითხავთ „ჩვენო კარგნო",
რატომ ვფიქრობთ ჩვენ ასე...
რადგან თავად კარგად იცით,
რისთვის დავრჩით ჩვენ- „მასე".

წადით, წადით... , ჩვენგან წადით,
გზებიც დაგვილოცნია,
არც რას ვითხოვთ მის სანაცვლოდ,
რაც თქვენთვის გვილოცნია.

ერთსაც გეტყვით!! როცა თქვენზე,
თუ ოდესმე იფიქროთ...
გაიხსენეთ თქვენთვის კიდევ -
უმჯობესი ვინც იყო!

2010

## მ ა მ ა ც ა

{თანამედროვე ვარიანტი}

ფულით იყიდი ყველაფერს: -
კაცსაც, ქალსა და მავანსაც,
ნადირს, ფრინველს და ცხოველსაც-
უფრო ადვილად „არა- კაცს".
ქალი გაიხდის სამოსელს,
სხეულს გაყიდის აბაზად,
გონება დაებინდება-
ვეღარ გაარჩევს „მამასაც"
გროშის გულისთვის ჩაიდენს
მიუტევებელ რაღაცას,
რაც გინდა ბევრი ეცადო
ვერას შეასმენ „არა- ქალს".

ფულის შოვნისთვის ყოველთვის,
დედას გასწირავს, ძმასაცა,
ოღონდ მიიღოს რაც მას სურს,
იწყებს მრუშობას „რაღა- ქნას".
არ არჩევს ნაცნობ-უცნობებს,
„ბანძს" თავი მოაქვს „ანკარად"
თუმც საჭმელ-სასმელისათვის
ყირაზეც დგება „აშკარად".
პრიორიტეტებს ანიჭებს,
პორნოს სექსსა და ანალსა,
უკანალს ჩასდებს „ავტოში",
ყველა დაეძებს „ახვარსა".
აღვირახსნილი ცხოვრებით,
თავსაც არცხვენს და სხვასაცა,
არ ისმენს გრეხი რა არის,
დედაც „მოუ...ა "- მამაცა.

2009

## დახლიდარი

ბედმა ერთხელ... გაუღიმა,
მიიწვიეს საქმეში,
ვერ შეიცნო გარემოცვამ,
და აღმოჩნდნენ მახეში,
როცა დადგა დრო და ჟამი,
ძმურად – „ეყოთ საქმენი“,
საძმოს სარმა დაუდო და,
მაშინ უთხრეს სათქმელი.
დაეუფლა სხვის ქონებას,
ჩაწვა ქერის ორმოში,
ხვალ და ზეგ, რომ მოკითხავენ,
ვერ უშველის დებოში.
უფლის შიში, ჩანს არა აქვს...
მრავალია სათქმელი.
მოერიდნენ – საერთო ხალხს,
რომ არ ჩაქრეს სანთელი.

გავუფრთხილდეთ მეგობრებო,
რისთვის გვინდა ამდენი??
... გაუმაძღარ კაცს რომ ხვდები,
გამოძებნე საშველი,
გულში სანამ ჩავიხუტებთ,
ხელთ გვეჭიროს საშლელი.

2018

## გამორჩეულ ადამიანს!!

ჩვენ თუ შევარდენს დავეძებთ,
ზეცაში ასვლას - ფრთა უნდა,
ბევრს რომ ღრუბლები არ მოსწონს,
ყველამ თქვას მაინც რა უნდა.
გადაწყდა, რომ ვადღეგრძელოთ,
გვერდში ვედგეთ ძლიერ მხარეს,
ძალზე კეთილ პიროვნებას,
არ წავართმევთ ნამდვილ არეს.

ყოფას, მთლიან გარემოცვას,
ერთად ვუდღეგრძელებთ ყველას,
მრავალ სიხარულს ვუსურვებთ
საპატიო პირს და მედგარს.

2019

**აბა ძამიკო!!**

დიდი სათვალით ხედვა ვარჩიე
კაცი ერთგული ვერ ავარჩიე,
ყველასთან ვცადე კეთილ - მიდგომით,
და კაცი მაინც ვერ შევამჩნიე.

2019

**ვაღიაროთ!!**

{ტიპი, რომელმაც ვერ ცნო სამყარო}

არ მორიდება წყენას...
არ მორიდება თქმას...
ნუ დავიჯერებთ ტყუილს...
იგი სიმართლეს კლავს.
უსამართლობას ხშირად,
ვხვდებით, ვუყრუებთ ყურს...
და თუ სიმართლე გვიყვარს
და თუ სიმართლე გვსურს.
ჩვენი მომავლის გამო...
თუკი ამისი გვწამს...
სიმართლე უნდა ითქვას
ყოველ წუთსა და წამს.
არ მორიდება წყენას...
არ მორიდება თქმას...
ნუ დავუჯერებთ ტყუილს...
იგი სიმართლეს კლავს.

2019

## გოჩა ადუაშვილის ხსოვნას !!



იყო კაცი - ეს ვაჟკაცი!
დღესაც არის - დიდი კაცი!
საუკუნე გაივლის და -
ის დარჩება მართლაც კაცი!!
სტუმართ - მასპინძლობის
გმირი,
შორს მჭვრეტელი ძალზე დიდი,
საქმიანი - მოყვარული,
ვებერთელა ტვირთის მზიდი.
ტრადიციის მიმდევარი,
გვერდში იკრებდა ზღვა ხალხსა,
აძლიერებდა მამულს - დასაცავს,
ვალი არ დარჩა ქვეყნად ამ კაცსა.
კაცი იყო - ეს ვაჟკაცი!
დღესაც არის - დიდი... კაცი!

2020

**უცნობი**

{ეს შენ გეხება}

სახე  ბრწყინვალე – ქცევით ხალასი,
თვალწინ ელვარებს ფერი ათასი,
მართლაც ნატიფი, ბასრი ალმასი,
რჩეულთა შორის სათნო-ლამაზი.
მთვარის სადარი სანდო – ნაზავით,
გამორჩეული ყოფა- საცავით,
ვარსკვლავთ მეწყვილე – თავაზიანი,
მშვიდი გონების სახე – მზიანი.
თვალებ ციმციმა, სახე ნაქარგი,
რაც მეტს უყურებ გიქრება დარდი,
ამ, დიდ სიკეთეს ვინ შეედრება,
მიტომაც გინდა მასთან ვედრება.
ვეღარ სცილდები, თავს ეკითხები,
თუ ვეღარ ნახავ, ხვალ რა იქნები,
გული არ გაძლევს იმის უფლებას,
დაშორებისას გაყვე დინებას.
მიდიხარ მისგან ფიქრებით სავსე,
იმედს იტოვებ შეხვდები სადმე,
ვიღაც, ბრწყინვალე – ქცევით ხალასი,
შენწინ ელვარებს ფერი ათასი ...

{უძველესი}.

## ალადასტური რჩეულებს !!




ჩვენი ქვეყნის რაინდების,
ყველამ იცის - არვის არ შურს,
ღვთიურ სითხეს უწოდებენ -
ქართულ ღვინოს ალადასტურს.
ვინც იხილა - სხვას არ ირჩევს,
თაყვანს სცემს და ამბობს დასტურს,
რჩეულებზე დიდი ხალხი,
არც არის - და აღარცა სურთ.
ჩვენი არის სხვა ბრენდებიც -
ხვანჭკარა თუ რქაწითელი,
ვინც ისურვებს, რომ იხილოს,
უნდა ნახოს ფართო ქსელი.
ცხოვრებამ თავად გვარგუნა,
გმირი ხალხის სია გრძელი,
იმათ ძლიერ ელიტაში,
გამობრწყინდა ხალხი ბრძენი.

მადლად ედება თაობას,
მათში არსებული გენი,
იმედს გამოვთქვამთ ყოველთვის,
ეყოლებათ - ზღვა შემცვლელი.
ვინც იხილა - სხვას არ ირჩევს,
თაყვანს სცემს და ამბობს დასტურს,
რჩეულებზე დიდი ხალხი,
არც არის - და აღარცა სურთ.

2010

**ბოღმა – უჟმური**

{გინდ დაიჯერე, გინდ არა}

მზე რომ სამყაროს ანათებს,
მთვარე სიბნელეს- ამარცხებს,
ყინვა სიცოცხლეს აფერხებს,
ბოროტებს-ბოღმა ამრავლებს.

სითბო იძლევა სიხარულს,
მაღლა წამოსწევს სუფთა გულს,
ყინვა ხელს უშლის სიყვარულს,
ბოღმა არა სცნობს სინანულს.
ბოროტს არა აქვს სმენა,
დაბორკილი აქვს ენა,
მუდამ იხრჩობა ბოღმაში,
სიბინძურეში- როკვაში.
არ უყვარს წარმატებული,
სიკეთით დაბადებული,
რომ გაექცევა წუთისოფელი,
იგი დარჩება როგორც ცხოველი.
ბოღმა წაიღებს აქაურს,
იქაც არგებენ სასწაულს,
აქეთ ვერ ვცნობდით უჟმურს ნორჩებში,
იქ აცურებენ კუპრის მორევში.
ნუ მკითხავთ ვინა - ასეთი ?!
შორიახლოს გვყავს მასეთი,
რად გვინდა ძებნა რამესი,
წინაპრისგანა- ნათესი!!

„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია!“
გავბედოთ... ბოროტებაზე,
სიტყვა წარმოვთქვათ ვრცელია.

2017

**ჩვენი სამოთხე**
{ყუმურიდან}


ავტორის სახლი სოფელ ყუმურში

შეხედე, რა ცაა
ეს არის რაცაა,
მოველი კეთილ ხალხს
ამოვლენ საცაა!!
წყაროს სერს შევცქერი
სამოცი წელია,
მის საოცრებაზე
ბევრჯერაც მსმენია.

ვუყურებ ჯვარიქედს,
ფიქრებში გართული,
ვიგონებ წინაპრებს
არიან წარსული.
        ბავშვებმა აღიქვან
        ლამაზი ქმნილება,
        იხილონ, იწამონ
        ამ კუთხის დიდება.
შეხედე, რა ცაა
ეს არის რაცაა,
მოველი თაობას
შემოვლენ საცაა.

გამოძახილი გალაკტიონის ლექსიდან.

2019

**ს ა რ ჩ ე ვ ი:**


- აკაციის ყვავილობა ------------------ 10
- ვედრება ------------------ 11
- ა დ ა მ ი ა ნ ი ! ------------------ 11
- ჭეშმარიტება! ------------------ 12
- მარადიული გალაკტიონი ------------------ 14
- ს ა ო ც რ ე ბ ა ! ------------------ 15
- შეგონება! ------------------ 16
- შენ გეუბნები და შენც ------------------ 17
- ვანი-ბაღდათის მიტროპოლიტს მეუფე ანტონს ------------------ 20
- ქართული პოეზიის რაინდს ბატონ ვაჟა ეგრისელს ------------------ 21
- ფაქტი და რეალობა ------------------ 22
- ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს... ------------------ 23
- შე... გონება ------------------ 26
- ჩვენი სკოლა !!! ----------------- 26
- უკვდავი გალაკტიონი ------------------ 29
- ჩვენი იმედი ------------------ 33
- ქართული სიწმინდეები ------------------ 35
- მცხეთის ჯვართან ------------------ 61
- ბარბარობას გილოცავთ ------------------ 62
- ბევრეთის (კალამონი) წმ. თეკლას დედათა მონასტერი ------------------ 64
- თემი ყუმურის ------------------ 68

- მონატრება და დარდი ------------------- 72
- მონატრება!! ------------------- 73
- საოცარი რამე ვნახეთ! ------------------- 75
- დიდსულოვანი!! ------------------- 78
- ვანო ფარცვანიას! ------------------- 81
- თამუნა ნოზაძეს ------------------- 83
- ჯემალ ჯავახიშვილს ------------------- 85
- ცისანა ბელთაძეს ------------------- 85
- მოვლენა {თამარ ფოფხაძეს} ------------------- 86
- დალოცვა {მარიამ ჯულაყიძეს} ------------------- 87
- ფაქტია... {ამირან ადეიშვილს} ------------------- 87
- აღმოჩენა {თათია გიორგაძეს} ------------------- 88
- მრწამსი {სოფიკო ბოლქვაძეს} ------------------- 89
- ნათება {თამუნა ბჟალავას} ------------------- 90
- რჩეული {ნონა გიორგაძეს} ------------------ 91
- საოცარი {ნატო მეფარიშვილს} ------------------- 92
- იდეალური {მაკა ადეიშვილი -
- სირომიატნიკოვას} ------------------- 93
- გამორჩეული {თანაკურსელ
  მეგობარს - ლედი გოგოლაძეს} ------------------- 95
- ჩემი უბანი სოფელ ყუმურში ------------------- 98
- უბნის გვრიტები ------------------- 106
- მორიგი გამოხმაურება ყუმურს
  და სხვას !!! ------------------- 107
- „ზავოდობა“ ყუმურში ------------------- 110
- კორონავირუსი ------------------- 114

- მსოფლიოო კორონავირუსს (COVID-19) ებრძვის ------------------- 117
- მამაჩემი ------------------- 121
- დედაჩემი ------------------- 122
- გუგულა თვალაბეიშვილს ------------------- 128
- თინათინ გეგეშიძეს ------------------- 131
- დოდო (იზოლდა) ადეიშვილს ------------------- 133
- ლუიზა ადეიშვილს ------------------- 135
- თემურ ადეიშვილს! ------------------- 137
- ნუნუ ადეიშვილს ------------------- 139
- ჩემს დებს - ლუიზას და ნუნუს ------------------- 141
- შვილებს ------------------- 142
- ჩ ე მ პ ი ო ნ ი {ხათუნა ბაკურაძეს} ------------------- 143
- გიორგი ადეიშვილს ------------------- 145
- აზა კირკიტაძეს ------------------- 146
- ირმა კირკიტაძეს ------------------- 148
- ირინა კირკიტაძეს ------------------- 150
- თინათინ ადეიშვილს ------------------- 151
- სანდრო ადეიშვილს ------------------- 152
- გეგა ადეიშვილს ------------------- 153
- ანდრია ადეიშვილს ------------------- 155
- ცოტნე ყველაშვილს ------------------- 156
- თიკა ყველაშვილს ------------------- 157
- ანა საღარაძეს ------------------- 158
- ლევან გიორგაძეს ------------------- 159
- ქეთი კაშიას ------------------- 160

- მარიამს! ------------------- 161
- ვერიკო და მარიამ ჭაფოძეები ------------------- 163
- ცისანა ბელთაძეს ------------------- 164
- ბადრი ადეიშვილს! ------------------- 166
- თინათინ გეგეშიძეს ------------------- 167
- ჩვენს მართვეებს ------------------- 168
- მშობლების გამონათქვამი ------------------- 170
- ერთგულს ------------------- 170
- გასაჭირი ------------------- 171
- თ ა ვ ხ ე დ ი... ------------------- 174
- დარიგება ------------------- 174
- წისქვილი ------------------- 175
- უმსგავსო ------------------- 177
- ს ა ს წ ო რ ი ------------------- 178
- სინანული ------------------- 179
- კაცია..ადამიანი? ------------------ 180
- მოძალადე ------------------- 180
- უცნობი ავტორის ლექსის ინტერპრეტაცია... ------------------- 182
- ერთეულებს ------------------- 183
- „გონჯი" ------------------- 183
- ნაწილს !!! ------------------- 185
- დაბადების დღის მილოცვა ------------------- 186
- ფაქტია ჯიუტი ------------------- 187
- მცირე აკადემია ------------------- 189
- ხ ი დ ა ნ  ხ ე ზ ე გადასკუპდა ჩიტი ! ? ------------------- 194

## ა კ ა ც ი ი ს  ყ ვ ა ვ ი ლ ო ბ ა


- ზოგ-ზოგებს ------------------- 196
- განმარტოება ------------------- 196
- „დაცემა" !!! ------------------- 197
- ჯიქი რევიას ------------------- 198
- „სმენა და გაგონება" ! ------------------- 199
- მევახშე - ბანკირებზე ! ------------------- 200
- ჩვენი საოცარი სამყარო ------------------- 200
- „კოვზი ნაცარში" ------------------- 205
- წ ყ ე ნ ა ------------------- 208
- სატრფიალო ------------------- 210
- მწარე რეალობა ------------------- 210
- ნ ა ძ ი რ ლ ე ბ ი ------------------- 214
- ბრწყინვალე არსება! ------------------- 215
- დილა მშვიდობისა "ფეისელებო" !! ------------------- 216
- ვიზალიბერალიზაცია ევროპისკენ ------------------- 218
- უ მ ა დ უ რ ე ბ ს !!! ------------------- 219
- მ ა მ ა ც ა ------------------- 220
- დახლიდარი ------------------- 222
- გამორჩეულ ადამიანს!! ------------------- 223
- აბა ძამიკო!! ------------------- 224
- ვაღიაროთ!! ------------------- 225
- გოჩა ადუაშვილის ხსოვნას !! ------------------- 226
- უცნობი ------------------- 227
- ალადასტური რჩეულებს !! ------------------- 228
- ბოლმა - უჟმური ------------------- 229
- ჩვენი სამოთხე ------------------- 231

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# „აკაციის ყვავილობა“

Elguja Adeishvili

# „Akatsiis Khvaviloba“

გამომცემლობის
რედაქტორი - ᲐᲜᲖᲝᲠ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
მხატვარი - ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲑᲔᲚᲔᲜᲘᲫᲔ
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი
მხატვრული რედაქტორები - ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ
- ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ
ტექნიკური რედაქტორი
და კომპიუტერული
უზრუნველყოფა - ᲗᲐᲛᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ
კონსულტანტი - ᲚᲣᲘᲖᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
კორექტორი - ᲜᲣᲜᲣ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**თბილისი**

**2020**

გამომცემლობა „ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ“, 2020

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 0186, Ა. ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



ელგუჯა ადეიშვილი სულის სამოსში